ფასი
კერძო პირთათვის 10.000 მანეთი.
სახელმწიფო დაწეს. 8.000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

ფოიქბე

შაბათი, მაისის 20. 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 33 ეროვნულ კვირეული ორგანო. № 33

ჟურნალ „ფოიქბე"-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ აღარ გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მოწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპოგათ ჟურნალის გზავნა.**

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღიაა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ოფიციალური განყოფილება

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დეკრეტი № 1.

სრულიად საქართ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართ. ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის წესიერი და რაციონალური დაყენებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წყალთა მთელი მეურნეობის გამგებლობა როგორც არსებულ სისტემათა ექსპლოატაციისა, ისე ახალი სისტემების მოწყობის მხრით გაერთიანებულ იქნეს ცენტრსა და ადგილობრივ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა განყოფილებაში.

2. წყლის მეურნეობად ჩაითვლება: წყალის გაყვანა, მორწყვა დაშრობა, კანალიზაცია, მდინარეთა მოვლა-გარიგება, წყალდიდობასთან ბრძოლა და წყლის ვარდნის ძალის გამოყენება.

3. მიწათმოქმედების კომისარიატის წყალთა განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

ა) წყლის სარგებლობისა და წყალთა-მშენებლობის საერთო გეგმის შედგენა;

ბ) წყალთა მეურნეობის საერთო გეგმის შესადგენათ საჭირო გამოკვლევების წარმოება (ჰიდროგრაფიული, ჰიდრომეტრიული, ნიადაგისა, საგეგმო ხატვა და სხვ.);

გ) გამოკვლევა, პროექტების შედგენა და წყალთა ახალი სისტემების აგება;

დ) წყალთა გამიჯვნა, ე. ი. არსებული წყლის უფლებათა განსაზღვრა და ახალი წყალ-სარგებლობის ნებართვის მიცემა;

ე) მეთვალყურეობა არსებული წყალ-სარგებლობისათვის და არსებულ წყალთა სისტემის რიგზე მოვლა-პატრონობა;

ვ) კანონმდებლობა წყალთა დარგისათვის;

ზ) წყალ სარგებლობის ფინანსიურად მოგვარება (სამელიორაციო კრედიტი, სუბსიდია, წყლის გადასახადი);

ი) ინსპექციის გაწევა საკოოპერაციო (წყალთა ამხანაგობანი), საიჯარო და საკონცესიო წყალ-სარგებლობისათვის.

4. წყალთა მეურნეობის ყველა სამუშაოს გაერთიანება მიწათმოქმედების კომისარიატის წყალთა განყოფილებაში უნდა მოხდეს ამ დეკრეტთან დართულ ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულ. კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1622 წ. აპრილის 12.

ტფილისი.—სასახლე.

1-ის № დეკრეტის

დ ა ნ ა რ თ ი.

ინსტრუქცია

წყალთა მეურნეობის სამუშაოთა გაერთიანების წესის შესახებ.

1. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყველა საქმე და წყალთა მეურნეობის ყველა სამუშაო, აგრეთვე ყოველგვარი იარაღი და მასალა გადასცეს და ჩააბაროს ადგილობრივ საგანგებო მიმღებ კომისიას, რომელსაც დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. ჩაბარების ვადა დაინიშნოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უგვიანეს ორი თვისა, კომისიის დანიშვნის დღიდან.

2. ყველა კრედიტი წყალთა მეურნეობისათვის და ნაშთი ამ კრედიტებისა სახალხო მეურნეობის საბჭოს აღრიცხვით, გადატანილ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვაში, ცალკე სამუშაოთა გადაცემისდაკვალად.

3. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთელი შტატი წყალთა მეურნეობისა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, გადავიდეს სამუშაოთა გადაცემისადაკვალად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგეობაში.

4, დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი თვის განმავლობაში უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ ყველა საქმისა და სამუშაოს სრული ჩაბარების დღიდან, წარმოადგინოს პროექტი დებულებისა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის შესახებ და აგრეთვე მისი შტატები.

საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულ. კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 12.

ტფილისი.—სასახლე.

დეკრეტი № 2.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნული ოლქის ცენტრად იქნეს ქ. ცხინვალი.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შედგენილებაში მოთავსდეს ტერიტორია, რომელიც უჭირავს სამხრეთ-ოსეთის ხალხს შემდეგ საზღვრებში:

ა) ჩრდილოეთით სანაპირო ხაზი გაივლის კავკასიონის მთავარ ქედზე მთიულთა ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ;

ბ) დასავლეთით — სანაპირო ხაზი იწყება მთიელთა სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებიდან მდინარე ჩანჩახის სათავესა და მის შენაკადებთან, გადასჭრის სიმაღლეს 8.872, მიემართება წითელტის ქედის გასწვრივ, გადასჭრის მდინარე ჩანჩახს, შენაკადი გესკეს შესართავში გაგრძელდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გესკეს მთის კალთებზე ამა მდინარის დასავლეთით; გადასჭრის გესკეს მთას, ძვარის მთას, სიმაღლეს 6.062, მდინარე ღარულას სოფ. დაბლა-კვაჟას ქვევით, მდინარე ქვედრულას, სოფ. ქვედის აღმოსავლეთ ით; დაეშვება ველუანტის მთის კალთებზე ამა მდინარის დასავლეთით; გადასჭრის სიმაღლეს 7.616; გადასჭრის ქუდევის მთას, 2.932-ს სიმაღლის ცოტა დასავლეთით გაგრძელდება აღმოსავლეთ სამხრეთის მიმართულებით, 6.013 სიმაღლის ძირის გასწვრივ; გადასჭრის მდინარე ყვარილის მარჯვენა შენაკადს სოფ. ბერევის აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ყვირილის 2.170 სიმაღლეს აღმოსავლეთით, მიებჯინება ბერანგის მთას 5 201 სიმაღლეზე; მიეძართება სამხრეთით; ამა მთის კალთებზე ძირულის მთის დასავლეთით; გადასჭრის უკანასკნელს და გაივლის კაპრების-სერის ქედს, 4.172 სიმაღლემდე; გაგრძელდება მდინარე ჭარად-ხევის ზემო მიმდინარეობით და შემდეგ კაპრების-სერის ქედის კალთების იქით, მდინარე ლოპანის დასავლეთით.

გ) სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ-ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა-ლიახვს, სოფ. არბოს ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფ. მერეთისა და კოშკის ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრევას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას, სოფ. აძვისა და მეჯვრის-ხევის ცოტა ზევით; გრძელდება სოფ. ყირბალისა და ბერუშეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; გადასჭრის მდ ნარე ტარტლას სოფ. წინაკარის ქვევით, მდინარე ლეხურის მარჯვენა შენაკადს სოფ. სურვალეთის ზევით, შემოუვლის სოფელთა ჯგუფს; ორჭოშანს, აბრევსა და სხვ., გადასჭრის მდინარე ლეხურს სოფ. საკორინთლოსა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოსისის ზევით და მიებჯინება იფნიანის ქედის მთას;

დ) აღმოსავლეთით: სანაპირო ხაზი იფნიანის ქედის მთიდან მოუხვევს ჩრდილოეთით და გადასჭრის ხნარცესა, გაივლის სოფ. მიქელიან-კარის, ირმის სოფლის და სხვა სოფლების ხაზის დასავლეთით; შემოუვლის ჩრდილოეთით 6.409 სიმაღლის შუა კალთებს, გადასჭრის უკანასკნელს ეკლესიის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთით; შემდეგ გაგრძელდება ჩრდილოეთისაკენ ქედით მდ. ალევის მიმდინარეობის გასწვრივ ამა მდინარის აღმოსავლეთით; გადასჭრის ჭარტალას მთას 8.283 სიმაღლეზე, საფერშეთის და ტახტის მთებს, გაგრძელდება მდინარე არაგვისა და ქსნის შენაკადების შუა წყალთა გამყოფი ქედის ხაზით; გადასჭრის სიმაღლეებს: ყირყუტსა, მუნჯუხსა და ლომისის უღელტეხილს მონასტრის ნანგრევებთან და მიიმართება ჯამურის უღელტეხილამდე; გადასჭრის მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადებს—განისისა, ერეთის და სხვა სოფლების დასავლეთით; გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთით მდ. არაგვის ზემო-მიმდინარეობით; მოუხვევს დასავლეთით, გადასჭრის ლაზგ-წითის მთას და მიემართება წყალთა-გამყოფი ქედის ხაზით მდინარე თერგისა და დიდ-ლიახვის შენაკადების შუა, გადასჭრის 12.117, 11,333 და 12.572 სიმაღლეებს და მიებჯინება ვაილკ-პარსის მთას.

3. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის

მმართველი ორგანოებია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ადგილობრივი საბჭოები.

4. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საქმეთა მმართველობისათვის დაარსდება სახალხო კომისარიატები: ა) შინაგან საქმეთა, ბ) იუსტიციისა, გ) განათლებისა, დ) ჯანმრთელობისა, ე) შრომისა და სოც. უზრუნველყოფისა, ვ) მიწათმოქმედებისა, ზ) სასურსათო, თ) ფინანსთა, ი) სახალხო მეურნეობის საბჭო და კ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა.

შენიშვნა 1: სამხრეთ-ოსეთის განსაკუთრებული სახალხო კომისარიათა საბჭო არ დაარსდება და სახალხო კომისარიატები მოქმედებენ, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

შენიშვნა 2: გარეშე საქმენი და საგარეო ვაჭრობა რჩება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში.

სამხედრო საქმეს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს და მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა დარჩება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოთა გამგეობაში, რომელნიც მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

5. რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე დაცულ იქნეს და მოეწყოს ერთიანი საფინანსო და სამეურნეო მოქმედება, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური ოლქის სახალხო კომისარიატები: სასურსათო, საფინანსო, შრომისა, სახალხო მეურნეობის საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექცია დარჩებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ქვემდებარეობაში; ამასთანავე უკანასკნელთა ყოველი განკარგულება და ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს სამხრეთ-ოსეთის სახალხო კომისარიატების მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

შენიშვნა: მეხუთე მუხლში დასახელებული სახალხო კომისარები დანიშნულ იქნებიან საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების მიერ, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დამტკიცებულ იქნებიან უკანასკნელის მიერ.

6. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლების, ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და სოციალურ უზრუნველყოფისა ავტონომიური არიან თავის მოქმედებაში და პასუხისმგებელნი საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების წინაშე, სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

7. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ყველა საჭირო საფინანსო და ტეხნიკური საშუალებებით მომარაგებულ იქნება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახსრიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო განკარგულებისამებრ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

8. იმ ადმინისტრატიული ერთეულების ფაქტიურ გადაცემას, რომლებიც მიეთვისება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აწარმოებს შერეული კომისია, შემდგარი სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოსაზღვრე დაინტერესებული მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან.

აღნიშნულ კომისიას დაევალება თავისი მუშაობა დაამთავროს არა უგვიანეს ამა 1922 წ. მაისის 1-სა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 20.

ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 3

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

წითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

რაოა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელარმიელთა და არმიაში მოსამსახურე პირთა თავგანწირული და ნაყოფიერი მუშაობისათვის დამყარდეს საუკეთესო პირობები, შემოღებულ იქნეს სახელმწიფო უზრუნველყოფა წითელარმიელებისა და მათი ოჯახებისა შემდეგ საფუძველზე:

1. უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარში მყოფი ყოველი პირი, სახელდობრ: წითელარმიელები, საკომანდო შედგენილობა და სამხედრო მოხელეები, როგორც მობილიზაციით გაწვეულნი, ისე მოხალისენი, აგრეთვე მათი ოჯახების შრომის უნარმოკლებული წევრნი:

შენიშვნა: ამის ქვეშ ყველგან მთელი წითელი არმიის შედგენილობა, როგორც საკომანდო, ისე არა-საკომანდო და აგრეთვე სამხედრო მოხელენი,—წითელ არმიელებად იქნებიან წოდებულნი.

2. წითელ არმიაში მობილიზაციით გაწვევის

ან მოხალისედ შესვლის დროს ყველა მოსამსახურე და მუშა, როგორც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისა და წარმოებისა, ისე კერძო პირთან მომუშავე მიიღებს მაშინვე სრულ ანგარიშს და გარდა ამისა ორი კვირის ჯილდოს.

3. არმიიდან დაბრუნებისას 1-ლ მუხლში მოხსენებული პირი მიიღებს ხელახლად იმ თანამდებობას, რომელიც მას ჰქონდა სამხედრო სამსახურში შესვლამდე.

4. წითელ არმიაში მყოფ მიწის მშრომელს შეენახება ყველა მისი უფლება მიწაზე.

5. როგორც წითელარმიელი, ისე მისი ოჯახი, რომელსაც იგი ინახავს, (ამა დეკრეტის მე-10 მუხლის თანახმად), თავისუფალია მისი ჯარში ყოფნის დროს, ყოველნაირი პირდაპირი გადასახადისაგან, ხოლო სასურსათო გადასახადისაგან—ნახევრად.

6. წითელარმიელის ჯარში ყოფნის დროს ოჯახი, რომელსაც იგი ინახავს: 1) არ შეიძლება გამოსახლებულ ან გადასახლებულ იქნეს ბინიდან; 2) განთავისუფლებულია შრომის ბეგარისაგან და ამის გარდა, უკეთუ წითელარმიელი, ჯარში გაწვევამდე ან მობილიზაციამდე, ქალაქად სცხოვრობდა და არ ეკუთვნის საკომუნალო შედგენილობას (მეხუთე ხარისხზე მაღლა არა სდგას) განთავისუფლებულია ქალაქად ბინის ქირისაგან, რაც ხაზინის ხარჯად უნდა იქნეს მიღებული საბჭოთა მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული ნორმით.

7. დეზერტირ წითელარმიელს და მტრის ბანაკში გადასულს და მის ოჯახს მოესპობათ ამ დეკრეტით დაწესებული უფლება უზრუნველყოფისა.

8. წითელარმიელის ოჯახს, უკეთუ იგი ერთად-ერთი მასაზრდოებელია ოჯახისა,—ეძლევა ყოველგვარი დახმარება.

9. ამ დახმარებაზე უფლება აქვს წითელარმიელის ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრებს, რომელთაც ის ინახავდა სამხედრო სამსახურში შესვლამდე.

10. შრომის უნარმოკლებულად ჩაითვლება: ა) წითელარმიელის ცოლი ბავშვით 12 წლამდე, ბ) ბავშვი 16 წლამდე და აგრეთვე მოსწავლე შვილი მიუხედავად მისი წლოვანებისა, გ) წითელარმიელის და და ძმა, თუ ის 16 წლისაზე მეტისა არ არის და სწავლობს, დ) დედა 45 წლისაზე უფროსი, ე) მამა 50 წ. უფროსი და ვ) ბებია და პაპა.

11. ოჯახის წევრად, რომელსაც დახმარების უფლება აქვს, ჩაითვლება აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილი და ნაშვილები.

12. ზემოაღნიშნულ პირთ დახმარების უფლება აქვთ მიუხედავად მათი წლოვანებისა, უკეთუ შრომის უნარი აქვთ დაკარგული, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს არსებული წესის თანახმად.

13. დახმარება ეძლევათ შემდეგი რაოდენობით: ოჯახის ერთ შრომის უნარმოკლებულს წევრს ადგილობრივ მინიმალური სატარიფო სასყიდლის 60%, ორს 75%, სამს და უფრო მეტს მთელი ხსენებული სასყიდელი

14. დახმარების უფლება (მუხ. 2) წითელ-არმიელის ოჯახს ეძლევა იმ რიცხვიდან, რომელიც მოსდევს ოჯახის პატრონის არმიაში შესვლის დროს.

15. დახმარების მიცემა დაევალება სამხედრო-საზღვაო კომისარიატს, რომელიც ამა საჭიროებისათვის გამოითხოვს სათანადო კრედიტს დადგენილი წესით.

16. დაევალოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატს შეადგინოს დაწვრილებითი ინსტრუქცია, რითაც განსაზღვრულ უნდა იქნეს წრე იმ შრომ ს უნარმოკლებულ პირთა, რომელნიც უნდა ჩაითვალნენ წითელ არმიაში მიღებულის რჩენაზე მყოფად და აგრეთვე წესი დახმარების მიცემისა. ინსტრუქცია ესე სასწრაფოდ უნდა წარედგინოს სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

17. უკეთუ საჭირო იქნება სამედიკო შემოწმება იმ პირისა, რომელიც წითელ არმიაში მიღებულის რჩენაზე იმყოფება,—ეს შემოწმება უნდა მოხდეს სამაზრო სამხედრო კომისარიატის გამოწვევით, რამდენადაც შეიძლება ადგილობრივვე. ხოლო თუ ეს მოუხერხებელია და შესამოწმებელ პირს მოუხდება სხვა ადგილას წასვლა,—მას უნდა მიეცეს დღიური სარგო მინიმალური სატარიფო სასყიდლის ერთი მეათედის რაოდენობისა, რაშიაც შედის გზის ხარჯიც.

18. წითელი არმიელის ოჯახს, რომელიც სოფლის მეურნეობას აწარმოებს, ფულადი დახმარების გარდა, უფლება ეძლევა—მისი მიწები შემუშავებულ იქნეს საზოგადოების საშუალებით და აგრეთვე ეძლევა უფლება უპირატესი დაკმაყოფილებისა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის პროდუქტებით, რომელიც სოფელს გადაეცემა ხოლმე.

19. წითელარმიელის ოჯახის შრომის უნარიან წევრს უფლება აქვს რიგს გარეშე მიიღოს სამუშაო მუშა-ხელის აღრიცხვის განყოფილებისაგან.

20. წითელარმიელის სიკვდილისა ან დასახიჩრების შემთხვევაში ოჯახი ან თითონ დასახიჩრებული უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც დადგენილ იქნება სპეციალური დეკრეტით.

21. ამა დეკრეტის შესრულება—სასოფლო-სამეურნეო დახმარების აღმოჩენის სფეროში დაევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

22. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა; ამასთანავე გაუქმებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტი 1921 წ. ივნისის 10 ს თარიღითა და 41 №-ით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 25.

ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 4

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამხედრო ხელოვნების საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ.

სოციალიზმს ერთ-ერთ თავის ძირითად ამოცანად დასახული აქვს კაცობრიობის განთავისუფლება მილიტარიზმის ტვირთისა და ერთა შორის სისხლის მღვრელი შეტაკების ბარბაროსობისაგან. სოციალიზმის მიზანს შეადგენს საყოველთაო განიარაღება, მუდმივი მშვიდობიანობა და ძმური თანამშრომლობა დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ხალხთა შორის.

ეს მიზანი მაშინ იქნება განხორციელებული, როდესაც ყველა ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელისუფლება გადავა მუშათა კლასის ხელში, რომელიც გამოჰგლეჯს ექსპლოატატორებს წარმოების საშუალებას, გადასცემს მას საერთო სარგებლობისათვის ყველა მშრომელს და დაამყარებს კომუნისტურ წესწყობილებას, როგორც მთელი კაცობრიობის სოლიდარობის ურყევ საფუძველს.

ამ ჟამად სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მუშათა კლასს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში ეკუთვნის, დანარჩენ ქვეყნებში ხელისუფლად სდგას იმპერიალისტური ბურჟუაზია. მისი პოლიტიკა მიმართულია კომუნისტური რევოლიუციის გასრესისა და სუსტი ერების დამონებისაკენ; საბჭოთა რესპუბლიკებს, რომელთაც ყოველი მხრით მტერი ახვევიათ, უნდა ჰყავდეთ საკუთარი ძლიერი ჯარი, რომლის მფარველობის ქვეშაც განხორციელდება ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების კომუნისტური გარდაქმნა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობა თავის პირდაპირ საგნად ისახავს ყოველი მოქალაქის ჩაბმას საყოველთაო სამხედრო ბეგარაში. მაგრამ უახლოეს გარდამავალ ხანაში სამხედრო საქმის სწავლება და ხალხის შეიარაღება გავრცელდება მხოლოდ მუშებზე და ისეთ მოქალაქეებზე, რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან.

მოქალაქენი ასაკით 18—49 წლამდე, რომელთაც განვლილი ექნებათ სავალდებულო სამხედრო სწავლების კურსი, აღრიცხულ იქნებიან როგორც სამხედრო-ვალდებულნი. მუშათა და გლეხთა მთავრობის პირველი მოწოდებისათანავე მათ უნდა აისხან იარაღი და შეავსონ წითელი ჯარის კადრები, რომელსაც შეადგენენ უაღრესად ერთგული და თავდადებული მებრძოლნი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და აგრეთვე საერთაშორისო სოციალური რევოლიუციისათვის.

1. სავალდებულო სწავლებას ექვემდებარებიან საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქენი შემდეგი ასაკისა: ა) სასკოლო, რომლის დაბალ საფეხურს განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი, ბ) მოსამზადებელი 16—20 წლამდე და გ) ჯარში გაწვევისა—20—40 წლამდე. სასკოლო და მოსამზადებელ ასაკის მომზადებას ეწოდება „ჯარში გაწვევამდე მომზადება". ჯარში გაწვევამდე მომზადებას სკოლის ასაკისათვის აზრად აქვს მხოლოდ ფიზიკური განვითარება და აღზრდა, მოსამზადებელ ასაკისათვის, ამის გარდა, სამხედრო სწავლებისა და აღზრდის მიზანიც.

შენიშვნა: ის პირი, რომლის რელიგიური რწმენა ვერ ეგუება იარაღის ხმარებას, გაწვეულ იქნეს ისეთი საქმის შესასწავლად, რასაც კავშირი არა აქვს იარაღის ხმარებასთან. ქალები სწავლას მიიღებენ მათი თანხმობისამებრ—საერთო საფუძველზე.

2. მოსამზადებელ და ჯარში გაწვევის ასაკოვანთა სწავლება დაევალება სამხედრო კომისარიატს, სასკოლოსი—აგრეთვე სამხედრო კომისარიატს, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატის უახლოეს მონაწილეობით.

3. სამხედრო სწავლებისათვის გაწვეულ იქნება ყოველი მოქალაქე, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა.

4. ადგილობრივ სამხედრო საქმის სავალდებულო სწავლების ორგანიზაციას განაგებენ საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანოები, რომლებიც სამხედრო კომისარიატების შედგენილობაში ირიცხებიან.

5. იმ ხნის განმავლობაში, რაც სავალდებულო სწავლებას მოხმარდება,—მოსწავლე არავითარ სასყიდელს არ მიიღებს. სწავლება ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ გაწვეულნი სასწავლო პერიოდში, რამდენადაც შეიძლება, თავიანთ მუდმივ ნორმალურ საქმეს არ მოსცდნენ.

6. სწავლება უნდა სწარმოებდეს განუწყვეტლივ 8 კვირის განმავლობაში, კვირაში არა ნაკლებ თორმეტი საათისა. სპეციალური ხასიათის ჯარების სწავლების ვადა და განმეორებითი გაწვევის წესი ცალკე დებულებით იქნება განსაზღვრული.

7. ის პირი, რომელსაც წინად რეგულიარულ ჯარში გაუვლია სწავლა, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სამხედრო ხელოვნების სავალდებულო სწავლებისაგან შესაფერი გამოცდის შემდეგ, რის შესახებიც, საერთო წესის მიხედვით მას უნდა მიეცეს სათანადო მოწმობა, როგორც სავალდებულო სწავლების კურს გავლილ პირს.

8. სწავლებას აწარმოებენ ინსტრუქტორები სამხედრო სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

9. ის, ვინც თავს განირიდებს სავალდებულო სწავლებისაგან ან თავის მოვალეობას საყოველთაო სწავლებისადმი უმუყაითოდ მოეკიდება, მიცემულ იქნება პასუხისგებაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ.
აღმას. კომიტ. თავმჯდ. **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მაისის 6. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 2.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, როგორც დამოუკიდებელი კომისარიატი, და ყველა მისი განყოფილებები შეუერთდეს შრომის სახ. კომისარიატს და შინამართველობის სახ. კომისარიატს კუთვნილებისამებრ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის.

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ც. ა. კომ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მარტის 27.
ტფილისი.—სასახლე.

დადგენილება № 3

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა რევოლიუციონური ტრიბუნალების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

რევოლიუციონური ტრიბუნალების დებულების მე-2 მუხლის განსავითარებლად, მე-3, 40, 47,51 მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსდეს ქ. ტფილისში აღმოსავლეთ საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალი.

შენიშვნა: ქ. ქუთაისსა და ბათომში არსებულ რევოლიუციონურ ტრიბუნალებს ეწოდოს: პირველს—დასავლეთ საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალი, ხოლო მეორეს—აჭარის ტანისა.

2. რევოლიუციონური ტრიბუნალი შესდგება მუდმივი თავმჯდომარისა და ხუთი წევრისაგან.

3. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტრიბუნალის მოწყობა განისაზღვრება აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმებით კონსტიტუციის საფუძველზე და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებით.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდეს უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალი, როგორც საკასაციო ტრიბუნალი, როგორც უახლოესი ზედამხედველობის ორგანო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტრიბუნალებისათვის და როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთათვის. უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალს შეადგენს—თავმჯდომარე, წევრი-მომხსენებელი და ხუთი წევრი.

5. უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარეს ნიშნავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ხოლო წევრებს და წევრთა-მომხსენებელს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, თანახმად ეზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარის წარდგენისა.

6. უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალი, სასამართლოს პირველი ინსტანციისამებრ,—მიიღებს წარმოებისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცალკე დადგენილებით გადაცემულ, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს, განაჩენი რომელთა შესახებ არ განესაჩივრება საკასაციო წესით და შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ზედამხედველობის წესით უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის პლენუმის მიერ.

7. საკასაციო საჩივრების და პროტესტების წარმოება განისაზღვრება დებულების მომქმედი მუხლებით.

8. სასამართლოს წესით საქმეებს გაარჩევს სამოსამართლო კრებული ერთის თავმჯდომარეობით და ორი წევრის მონაწილეობით.

9. დებულების 47—50 მუხლებით გათვალისწინებული უფლებანი ზედამხედველობისა, რევიზიისა და ინსტრუქტორობის გაწევისა ეკუთვნის უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის პლენუმს თავმჯდომარისა, ყველა წევრისა და წევრი-მომხსენებელის შედგენილობით, პირველის თავმჯდომარეობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

გრძანება № 3.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ამა 1922 წლის მარტის 28-ს დადგენილების თანახმად, ამხ. მამია **ორახელაშვილი** განთავისუფლებულია განათლების სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი განცხადებისამებრ ავადმყოფობის გამო.

2. იმავე დადგენილების თანახმად განათლე-

ბის სახალხო კომისრად დამტკიცებულია ამხ. **დ. კანდელაკი.**

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ.

კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრ. აღმ. კომიტ. მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მარტის 30.

ტფილისი.—სასახლე.

გრძანება № 4.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

წინადადება ეძლევა ყველა სამეურნეო, საბჭოთა და სხვ. დაწესებულებათ—მისცენ ამ დაწესებულებათა მოსამსახურეთაგან საქართველოს წითელ არმიაში პოლიტიკური მუშაობისათვის მობილიზაციით გაწვეულ პირთა ოჯახებს ერთდროული დახმარება თითოეულ ოჯახს ხუთას ათასი მანეთი სამხედრო-საზღვავო სახალხო კომისარიატის ანგარიშში.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ.

კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრ. კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 13. ტფილისი.—სასახლე.

საზალ. კომისართა საბჭო.

დადგენილება № 11.

საქ. ს. ს. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

მცხოვრებთათვის სამხედრო მოქმედებით მიყენებული ზარალის ამნაზღაურებელი კომისიის გაუქმების შესახებ.

1. მცხოვრებთათვის სამხედრო მოქმედებით მიყენებული ზარალის ამნაზღაურებელი კომისია, რომელიც დაარსებულ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 9-ს თარიღისა და 14 №-ის დეკრეტის თანახმად,—გაუქმებული იქნეს.

2. პირველი მუხლში აღნიშნულ კომისიაში დარჩენილი ყველა განუხილველი საქმე და აგრეთვე ის საქმეები, რომელიც უკვე განხილულია კომისიის მიერ, ხოლო დაზარალებული პირნი ჯერ კიდევ დაკმაყოფილებულ არ არიან—გადაეცეს განსახილველად სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომის.

საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთა ძე.**

შინ. საქმ. სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 12

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ცრუ დასმენისათვის პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის, ვინც სასამართლო, საგამომძიებლო ან სხვა რომელიმე ხელისუფლების ორგანოს წინაშე, რომლისგანაც დამოკიდებულია სისხლის სამართლის წესით დევნის აღწერა, წინასწარი შეცნობით ცრუდ დაასმენს ამა თუ იმ პირს, ვითომც მას რაიმე დანაშაული ჩაედინოს, დაისჯება სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე არა ნაკლები ვადით.

2. იგივე სასჯელი დაედება სასამართლოს წესით იმას, ვინც საქმის გამოკითხვისა, გამოძიებისა ან სასამართლოში გარჩევის დროს მოწმედ, ექსპერტად თუ თარჯიმნად მიწვეული, განზრახ ცრუ ჩვენებას მისცემს.

შენიშვნა: დადგენილების 1-სა და მე-2 მუხლში აღნიშნული სასჯელის ვადა გადიდებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ ორ წლამდე მაინც, უკეთუ ცრუ დასმენა ან ჩვენება გამოწვეულია ანგარებით, ან იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ პირს მძიმე დანაშაულის ბრალი დაედოს ანდა უკეთუ დამნაშავე ამა თუ იმ პირის გასამტყუნებლად მიმართავს ბრალდების დასამტკიცებელი საბუთის ხელოვნურად შექმნას.

3. ის, ვინც სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირისადმი წარდგენილ განცხადებაში ან ოფიციალურ შეკითხვის გამო მიცემულ პასუხში წინასწარი შეცნობით მოათავსებს ცრუ ცნობებს იმ ფაქტებისა და საქმის თაობაზე, რომელიც შეეხება სახელმწიფო დაწესებულებისა, ან თანამდებობის პირის მოქმედებას, სასამართლოს წესით დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე არა ნაკლები ვადით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომის. საბჭ. თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგ. **ბროდსკი.**

სახალხო კომისართა საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26.

ეროვნული

დადგენილება № 13

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ტფილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული იუსტიციის განყოფილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ტფილისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული იუსტიციის განყოფილება.

2. გაუქმებული განყოფილების ყველა ფუნქციის ასრულება დაეკისროს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 14

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ საძოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების თაობაზე გამოცემულ 134 №-ის დადგენილების მე-3, 4 და მე-5 მუხლების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 134 №-ის დადგენილების მე-3, 4 და მე-5 მუხლები შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხლი მე-3—გადასახადი ქალაქდის ასლის მიცემისათვის განისაზღვრება ნიხრით, რომელსაც პერიოდულად დაადგენს და გამოაქვეყნებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

მუხლი მე-4—პუბლიკაციის დაბეჭდისათვის მთავრობის გაზეთების სასარგებლოდ გადახდილი უნდა იქნას ფასი იმ რაოდენობისა, რომელიც განსაზღვრულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო გამომცემლობის შეთანხმებით.

მუხლი მე-5—მცოდნე პირი (ექსპერტთა) განსამრჯელოს განსაზღვრავს სასამართლო ერთი მანეთიდან ოცდა ხუთ მანეთამდე ოქროთი, შრომის ხასიათისა, იმ დროისა, რომელიც დასჭირდა დასკვნის მიცემას და სხვა გარემოებათა მიხედვით: განსამრჯელო წინდაწინვე შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს დეპოზიტად, სასამართლოს მიერ დაახლოვებით გამოანგარიშებულ რაოდენობისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 15

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოში ლტოლვილთა მოზღვავების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს საქართველოს ფარგლებში ლტოლვილთა მოძრაობა, რამაც სტიქიური ხასიათი მიიღო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეკრულ იქნეს საქართველოში შემოსასვლელი საზღვრები.

2. საქართველოში დაუბრკოლებლად შემოსვლის უფლება ეძლევა:

ა) სამხედრო ნაწილებს, რომელნიც მიდიან ცალკე რაზმებად უფროსითურთ;

ბ) მოსამსახურენი, რომელნიც მოდიან მივლინებით, ან შვებულებით და თან აქვთ საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და სამხედრო ნაწილების სამმართველოისი და დაწესებულებების უფროსზე არა მდაბალი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი მანდატი;

გ) პირნი, რომელნიც მიდიან სავაჭრო საქმეების გამო და თან აქვთ საამისო სათანადო მოწმობა, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეზე არა მდაბალი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი;

დ) პირნი, ვისაც საქართველოში ჰყავთ ნათესავები, რომელთაც შეუძლიანთ და სურთ მიიღონ იგინი თავიანთ მზრუნველობაზე და უკეთუ მათ შესახებ ნათესავების მიერ აღძრული იქნება სათანადო შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოს წინაშე. უკეთუ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველო მისცემს მოწმობას, საქართველოში შემოსვლის უფლების შესახებ და ეს მოწმობა გადაეგზავნება იმ პირს, რომელსაც სურს საქართველოში მოსვლა.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევა-

ში, როგორც თვით საქართველოში, ისე ტრანზიტით შეიძლება შემოშვებულ იქნეს ლტოვილნი, გადასახლებულნი, ინვალიდები და მუშები, რომელნიც მიდიან ცალკე ჯგუფებად და თან აქვთ სახელობითი ს

საიჯარო გადასახადი პორტების საწყობი შენობებისა, სადგომებისა და მიწის ნაკვეთებისათვის გადიდებულ იქნეს 100 პროცენტით ე. ი. 2 მანეთიდან 30 მანეთამდე ოქროთი ოთხკუთხი საჟენისათვის, გარდა მარგანეცის დასაგროვებელ ადგილებისა, რომლისათვისაც ფასი დაწესებულ იქნეს 1 მ. და 50 კაპეიკიდან, 3 მანეთამდე ოთხკუთხი საჟ. სივრცისათვის წელიწადში.

2. საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს წინადადება ეძლევა შეიმუშაოს და შემოიღოს დაწვრილებითი წესები ზემოაღნიშნული გადასახადის რაოდენობისა და გადახდევინების შესახებ.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1022 წ, მაისის 2.
ტფილისი — სასახლე

დადგენილება № 18.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სახომალდო ბაჟის შემცირების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის სექტემბრის 5-ს თარიღითა და 61 №-ით გამოცემული დადგენილების პირველი მუხლის „გ" პუნქტის შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადახდევინებულ იქნეს ხოლმე სახომალდო ბაჟი სულ 20 კაპ. ოქროთი თვითეულ წმინდა სარეგისტრო ტონაზე შემოსვლისა და გასავლისათვის ერთად.

2. წინადადება ეძლევა საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს — შეიმუშაოს დაწვრილებითი წესები ამა ბაჟის გადახდევინების წესრიგისა და აგრეთვე ამა ბაჟისაგან ნავჭურჭლის განთავისუფლებისა ან შემცირებული რაოდენობის ბაჟის გადახდევინების შესახებ და შემოიღოს იგი ამა 1922 წლის მაისის 15-თვის.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 2.
ტფილისი — სასახლე.

დეგულეგა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა შესახებ.

1921 წლის აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 №-ით გამოცემულ დეკრეტის 26 და 27 მუხლის გასაუქმებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან ჩაითვლება ის პირი, რომელსაც თავისი მთავრობის სახელით მიცემული ექნება სათანადო რწმუნების გრამოტა საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური ფუნქციების შესასრულებლად და რომელიც ამ მიზნით იქნება მოსული საქართველოს ტერიტორიაზე — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა და უცხო სახელმწიფოს მთავრობის შორის ჯეროვანი ურთიერთი მიმართვის შემდეგ.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ დიპლომატიურ კორპუსის შედგენილობაში, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის გარდა, შედიან ის პირნი, რომელთა შესახებ მოხდება შეთანხმება სათანადო დიპლომატიური წარმომადგენლობისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის შორის.

3. დიპლომატიურ წარმომადგენელს და დიპლომატიური კორპუსის წევრს აქვს შემდეგი უფლება და უპირატესობა:

ა) პირადი შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება ხსენებულ პირთა შეპყრობა არც ადმინისტრატიული, არც სასამართლოს წესით;

ბ) კერძო ბინისა და სასამსახურო კანცელარიის შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება აღნიშნულ სადგომის გაჩხრეკა, დათვალიერება და დაბეჭდვა, თუ ამის თანახმა არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით;

გ) უფლება, რომლის ძალითაც იგი არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებას არც სისხლის სამართლისა და არც სამოქალაქო საქმეებში, რის გამოც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო საწარმოებლად არ მიიღებს მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარსა და სარჩელს, არამედ გადასცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალება ყოველგვარი ღონისძიების მიღება დიპლომატიური გზით დაზარალებულის დასაკმაყოფილებლათ.

დ) განთავისუფლება ზოგად-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირადი, ნატურალური და ფულადი ბეგარისაგან.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული უფლება ვრცელდება აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენელისა და დიპლომატიური კორპუსის წევრის ცოლსა და შვილზე, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი.

4. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს, მე-3 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარდა, ეკუთვნის:

ა) უფლება დაუბრკოლებელი მიმართვისა თავის მთავრობისადმი და სხვა სახელმწიფოში მყოფ მის დიპლომატიურ წარმომადგენლობისადმი ღია და შიფრიანი დეპეშების გაგზავნით და აგრეთვე დიპლომატიური შიკრიკების მეშვეობით;

ბ) უფლება კერძო და სასამსახურო სადგომზე, აგრეთვე მიმოსვლისათვის მის მიერ ხმარებულ საშველებელზე თავისი ქვეყნის დროშის აღმართვისა.

5. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლიან მე 3 და 4 მუხლში ჩამოთვლილი უფლებანი გაავრცელოს იმ უცხოელებზედაც, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკაში მოვლენ განსაკუთრებული პოლიტიკური მისიის განსახორციელებლად, აგრეთვე იმათზედაც, ვინც უცხო სახელმწიფოსთან დადებულ განსაკუთრებულ შეთანხმების ძალით უნდა შეასრულოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიპლომატიური ფუნქციები, თუნდაც ოფიციალური დიპლომატიური წოდებაც არ ჰქონდეს. ამ შემთხვევისათვის აღნიშნულ პირთ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა მისცეს სათანადო მოწმობა

6. იმ შემთხვევაში, უკეთუ დიპლომატიური წარმომადგენელი, ან თითონ მარტო, მისიის მთელ შედგენილობასთან ერთად, დააპირებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან წასვლას, იგი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცემს თავის გაწვევის გრამოტას და მიიღებს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან პასპორტს საზღვარგარეთ წასასვლელად, ამასთანავე რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლამდე, როგორც თითონ იგი, ისე მე-2 მუხლში დასახელებული მისი თანამხლებელნი, სარგებლობენ ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნულ უფლებას.

7. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 29.
ტფილისი—სასახლე.

დ ე კ ე ტ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ უცხო სახელმწიფოების საკონსულო წარმომადგენელების შესახებ.

1921 წლის აგვისტოს 8-ის თარიღითა და 64 ნომრით გამოცემული დეკრეტის 28 მუხლის შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელად (გენერალურ კონსულად, კონსულად, ვიცე-კონსულად, საკონსულო აგენტად) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან ჩაითვლება ის პირი, ვინც თავის მოვალეობის აღსასრულებლად ჯეროვან დასტურს (ეგზეკვატურას) მიიღებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისაგან გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. საკონსულო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ურთი-ერთ მიმართვა, მათი სამყოფელი ადგილის განსაზღვრა, საკონსულო დაწესებულების მოსამსახურეთა შედგენილობა, კონსულების სამსახურებრივი მოქმედების მოსპობა, დროებით მოადგილეობისა და საქართველოს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულების ერთი-ურთ მიმართვა წარმოებულ უნდა იქნეს იმ წესით, რომელსაც ამისთვის გამოსცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს აქვს შემდეგი უფლება:

ა) საკონსულო წარმომადგენლის პირადათ დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დადგენილებით სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის წესისამებრ; მისი წინასწარი დაპატიმრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სამართლის დევნა ისეთ მოქმედებისათვის, რომელიც ექვემდებარება რევოლიუციონურ ტრიბუნალს ან სახალხო სასამართლოს ექვსი მსაჯულის შედგენილობით;

ბ) საკონსულო წარმომადგენელი უწესო მოქმედებისა ან თავის სამსახურებრივი რწმუნებულობის გადამეტებისათვის არ ექვემდებარება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებას; ყოველი ასეთი მოქმედების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ადგილობრივმა დაწესებულებამ, აგრეთვე ამ მოქმედებისაგან დაზარალებულმა კერძო პირმა უნდა აცნობოს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს საქმის დიპლომატიური გზით წარსამართავად;

გ) საკონსულო წარმომადგენელი თავისუფა-

ლია ზოგად სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირადი და ნატურალური ბეგარისაგან;

დ) საკონსულო კანცელარია, რომელიც მოთავსებულია და ინახება კონსულის კერძო ქონებისა და პირადი მიწერ-მოწერის გარეშედ, — თუნდაც იმავე ბინაზე დაც იყოს, არ შეიძლება გაჩხრეკილ, დათვალიერებულ ან დაბეჭდილ იქნეს საქართველოს ხელისუფლების აგენტის მიერ კონსულის დაუთანახმებლად. მაგრამ ამასთანავე საკონსულო კანცელარია არ უნდა გადაიქცეს თავშესაფარად იმ პირთა და საგნებისათვის, რომელთაც კანცელარიასთან კავშირი არა აქვთ; უკეთუ ეს უკანასკნელი წესი დარღვეულ იქნა, გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის თანხმობით;

ე) კონსულს ნება ეძლევა საკონსულო შესავალ კარებზე გამოჰკიდოს ფარი თავისი სახელმწიფოს ღერბით და ზედ წარწერით: „ამა და ამ სახელმწიფოს საკონსულო (გენერალური საკონსულო, ვიცე-საკონსულო, საკონსულო საგენტო)“ და თავისი ეროვნული დროშა.

ვ) ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული გამონაკლისის გარეშე, საკონსულო წარმომადგენელი ემორჩილება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა კანონდებულებას.

5. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 29.
ტფილისი — სასახლე.

დეკრეტი № 1.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

სანახირო სავაჭრო-სამრეწველო საქონელზე გადასახადის დაწესების შესახებ.

შინაური პირუტყვის გადამდებ სენთან, — განსაკუთრებით-კი საქონლის ჭირთან საბრძოლველ საშუალებათა გასაძლიერებლად, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1922 წლისათვის სანახირო სავაჭრო-სამრეწველო სხვილ ფეხა და წვრილ ფეხა საქონლისათვის და აგრეთვე ღორისათვის გადასახადი სამი პროცენტის რაოდენობისა საქონლის ნორმალური შეფასების მიხედვით.

შენიშვნა: გადასახადი ესე არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე.

2. საქონლის ნორმალურ ფასს აწესებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი პერიოდულად — არსებული საბაზრო ფასების მიხედვით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახ. კომის. მოადგ. **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახ. კომ. საბ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 25.
ტფილისი — სასახლე.

დეკრეტი № 2.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

უცხოელის საწარმოო დაწესებულებათა რეგისტრაციისათვის განსაკუთრებული გადასახადის დაწესების შესახებ.

1. საქართველოში არსებულ უცხოელის სამრეწველო ან სავაჭრო ფირმათა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან რეგისტრაციისათვის დაწესებულ იქნა სახელმწიფოს სასარგებლოდ განსაკუთრებული გადასახადი ას ორმოცდა ათი (150) მანეთი ოქროს ვალიუტის ანგარიშით.

შენიშვნა: ასეთივე გადასახადი უნდა გაიღოს უცხოეთის იმ ფირმამ, რომელიც ამ ჟამად მოქმედებს და აღნუსხულია ამა დეკრეტის გამოცემამდე; აღნიშნული გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა.

2. წინა მუხლში აღნიშნული გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს დაინტერესებული ფირმისა ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს ერთ-ერთ ხაზინაში და კვიტანცია წარუდგინოს აღმნუსხველ დაწესებულებას მის შემდეგ, როდესაც ცნობილ იქნება, რომ ფირმას რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს, ხოლო სარეგისტრაციო მოწმობის მიცემამდე-კი.

3. რეგისტრაციის შესახებ განცხადებისა და დანართისათვის გაღებულ უნდა იქნეს საღერბო გადასახადი საერთო წესისამებრ.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

სახ. კომის. საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 29.
ტფილისი — სასახლე

ბრძანება № 3.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

რათა რადიკალურად მოსპობილ იქნეს შემთხვევები ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზების გაფუჭებისა, საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სცნობს გასცეს შემდეგი ბრძანება.

1. ყველას, ვინც-კი დანაშაულობას ჩაიდენს მით, რომ განძრახ გააფუჭებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზს (მავთულის გაწყვეტა, ბოძების ამოთხრა და სხვ. რამ ამისთ.), გარდა სასამართლოს ან ადმინისტრატიულის წესით დასჯისა,— უნდა გადახდეს ფულად გაფუჭებული ხაზის აღდგენისათვის საჭირო ხარჯების ნამდვილი რაოდენობის ას კეცი ჯარიმა.

2. ხელისუფლების ყოველი ორგანო მოწოდებულია სწორედ და უკლებლივ შეასრულოს ეს ბრძანება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭოს თავმჯდომარე ს. **ქავთარაძე.**

სახ. კომ ს. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 3.
ტფილისი—სასახლე.

შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი

მოწოდება

საქართველოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და ავტონომიურ აჭარას, აფხაზეთს და ოსეთს.

რუსეთის დიადმა რევოლიუციამ, რომელიც არის კლასობრივ და ეროვნულ ჩაგვრის დამთურგვნელი, საქართველოს მუშათა კლასს მიანიჭა თავისუფლება და გაჯანსაღების გზას დააყენა.

რუსეთის დიადმა რევოლიუციამ საქართველოს მუშათა კლასის სახელმწიფოებრივ სხეულში უცხო ძარღვები ამოგლიჯა და მშობლიური გაუჩინა.

საქართველოს მუშათა კლასის ხელის უფლების ძარღვები ეს სახელმწიფოს შინა საქმეთა აპარატია და მისი სისხლი ამ ორგანოს თანამშრომელნი.

რამდენად საღი იქნება საბჭოთა საქართველოს ძარღვები, ესე იგი შინა-საქმეთა აპარატი და მასში მოძრავი სისხლი ე. ი.—სახელმწიფოს მუშაკნი და თანამშრომელნი, იმდენად მალე გამობრუნდება საქართველო ომითა და რევოლიუციით გამოწვეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ნგრევა ანარქიისაგან.

მუშათა და გლეხთა ხელის უფლების სახელმწიფოებრივი შემოქმედება მხოლოდ ეხლა იწყებს გამოცოცხლებას და, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, თავის წინმსვლელობას მარტო **გამოცოცხლებით** არ დაამთავრებს და უმაღლეს წარმატებასა და აღორძინებასაც მიაღწევს.

მუშათა და გლეხთა ხელის უფლებამ **რევოლიუციონურის სისწრაფით და ტემპით** უნდა მიაღწიოს სახელმწიფოებრივ, **ჯერ გაჯანსაღებას** და შემდეგ, შეიძლება უფრო ნელის ნაბიჯით,— მისს **აღორძინებას,** და ბრწყინვალე ხანას.

ამის მისაღწევად საჭიროა დადებითი მუშაობა სახელმწიფოს ყოველ დარგში და განსაკუთრებით რესპუბლიკის შინაგან საქმეში.

ნაყოფი და შედეგი სახელმწიფოებრივ მუშაობისა და შემოქმედებისა შეიძლება შეიქნეს თვალსაჩინო მხოლოდ ხანგრძლივი მეთოდიური და სისტემატიური ჩუმი მუშაობის შემდეგ.

ასეთი მეთოდიური და სისტემატიური მუშაობისათვის მოწოდებული ვართ ჩვენ—ხელმძღვანელნი და თანამშრომელნი საბჭოთა საქართველოს შინა-საქმეთა სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებისა.

დიადია ჩვენი ხვედრი დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის განახლებისა და აღორძინებისათვის, რისთვისაც მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგებო.

რევკომთა მმართვა-გამგებლობა, როგორც პირველი წელი მუშათა და გლეხთა დიქტატურისა და წინა მორბედი საბჭოთა ხელის უფლებისა საქართველოში ვერ იყო ისე მტკიცე და მთლიანი, როგორც ეს საჭირო იყო.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წელი, როდესაც აღმასრულებელ კომიტეტების მაგივრ, **რევკომები** განაგებდნენ, აღინიშნება როგორც წელი, რესპუბლიკის ხელის უფლების აპარატის მოდუნებისა და დაუძლურებისა, რომლის უმთავრესი მიზეზი უეჭველად იყო **სუსტი კავშირი ცენტრსა და პერიფერიების შორ ს.**

რესპუბლიკის გულიდან ანუ შინა საქმეთა სახალხო, კომისარიატიდან მომდინარე სისხლი ვერ აღწევდა რესპუბლიკის სხეულის ყველა ნაპირებს და თუ აღწევდა იგი სისხლი ყველას თანასწორად არ ეფინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლებულ საბჭოთა ხელისუფლების მისიაა სახელმწიფო აპარატის განმტკიცება და გაჯანსაღება, რათა საქართველოს რესპუბლიკის განახლებულ ძარღვებში სახელმწიფოებრივ გულიდან მჩქეფარე სისხლი თანასწორად და ერთნაირად ეფინებოდეს რესპუბლიკის მთელ სხეულს.

მე, რომელსაც დამეკისრა ასეთი დიდი საქმის სათავეში ჩადგომა, როგორიცაა შინა საქმეთა სახალხო კომისარიატი, მხოლოდ თქვენთან მჭიდრო კავშირით და თანამშრომლობით, ვიმედოვნებ დასახულ მიზნის მიღწევას და საქართველოს საბჭოთა ხელის უფლების დიად მისიის კეთილად დაგვირგვინებას.

ამისათვ ს კი საჭიროა მჭიდრო კავშირის აღდგენა რესპუბლიკის ცენტრსა და პერიფერიათა შორის.

ამისათვის საჭიროა რესპუბლიკის სხეულში სისხლის სწორი ცირკულიაცია.

ამისათვის საჭიროა, მეთოდიურ და სისტემატიურ მუშაობასთან ერთად, — ურთიერთ გულწრფელი დახმარება და საქმისადმი სიყვარულით აღსავსე თანამშრომლობა.

ყოველივე ამისათვის მოგიწოდებთ, თქვენ ამხანაგური წინადადებით, შეადგინოთ საფუძვლიანი მოხსენებანი თქვენი ერთი წლის მუშაობისა და გამოცდილება — დაკვირვებათა.

ასეთ მოხსენებაში დაწვრილებით უნდა იყოს ჩამოთვლილი ის ნაკლი, რომელიც ჰქონდა რევკომთა-სისტემის დროს, როგორც **ადგილობრივ ისე ცენტრალურ ხელისუფლებას.**

საფუძვლიანად და დეტალურად უნდა იყოს გამორკვეული დასაბუთებული **მიზეზები და შედეგები** შინა — საქმეთა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა შორის სუსტი კავშირისა.

მიზეზთა და შედეგთა გამორკვევისა და გათვალისწინებასთან ერთად დაწვრილებით უნდა იყოს აღნუსხული და ჩამოყალიბებული ის **ზომები** და **საშუალებანი**, რომლებიც საჭირონი იქნებიან ცხოვრებაში გასატარებლად.

მაშ იცოდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი ახალი ნაბიჯის შედეგი უნდა იქნეს **გამთელება, გაერთიანება და განმტკიცება რესპუბლიკის ხერხემლის, შინა-საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მისი შემადგენელი ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელ კომიტეტებისა.**

დასასრულ გახსოვდეთ, რომ საბჭოთა ხელის უფლებია სახელის მოხვეჭისათვის და ჩვენი ისტორიული მისიის და დასახულ მიზნის პირნათლად შესრულებისათვის საჭიროა მეთოდიური მუშაობა მაღალი გონება და უანგარო ზნეობა; მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია დავამტკიცოთ ჩვენი ნამდვილი კომუნისტობა და ჭეშმარიტი რევოლიუციონერობა.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

გრძანება № 8.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახ. კომისრისა.

ცეცხლის გაჩენის თავიდან აცილების საშუალებათა შესახებ.

1. ფეირვერკების მომზადების უკოდინარობის გამო ცეკხლის გაჩენის თავიდან ასაცილებლად კერძო პირებისათვის აკრძალულია შ. ს. ს. კომისარიატის ცეცხლისაგან დამცველი განყოფილების ნებადაურთველად მათი მომზადება და გაყიდვა, აკრძალულია აგრეთვე მათი დაწვა ადგილობრივი ცეცხლის ორგანიზაციის დაუკითხავად.

შენიშვნა: კერძო პირების მიერ ფეირვერკების დაწვა შეიძლება ადგილობრივ ცეცხლის ორგანიზაციის ნებადართვით, ხოლო შენობებისა და პურისა, და თივის ძნების მოშორებით. ამასთან ფეირვერკების დაწვა აუცილებლად უნდა ხდებოდეს სპეციალისტის ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით.

2. აკრძალულია ადგილობრივ ცეცხლის ორგანიზაციის დაუკითხავად ცეცხლის დანთება ეზოებსა, მოედანებსა და ქუჩებში.

3. ცეცხლის თავიდან ასაცილებლად ვალად ედება ყველას და ყოველს, ყოველთვის და ყოველგან ცეცხლს მოეპყრას დიდი სიფრთხილით.

4. სადგომ ბინებზე აკრძალულია შენახვა ნავთის, ბენზინისა და ყველა ადვილად ასაფეთქებელ მასალებისა.

შენიშვნა: ნავთის შენახვა საოჯახო საჭიროებისათვის შესაძლებელია არა უმეტეს 20 გირვანქისა კარგად დახურულ რკინის ჭურჭლებში ფეჩებისა და სამზარეულოს ყოველ გვარი ტიპის კერების დაშორებით.

5. აკრძალულია ჩასხმა ნავთისა, ბენზინისა, სპირტისა და სხვა ანთებულ ლამფებში, საჭმელების მოსამზადებლად და ოთახების დასათბობ ფეჩებში ნავთისა, ბენზინისა და სპირტის ჭურჭლებში, პრიმუზებში და სხვა.

6. სასტიკათ ეკრძალება ყველას ცეცხლის დანთება ტყეებისა, ბუჩქნარებისა, მოუმკალ ან და დაბულუდებულ ძნების და თივისა, ხის ლობეების და ფიჩხით შემოვლებულ ადგილების სიახლოვეს.

სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო აღმასკომები ვალდებულნი არიან ამ ბრძანების ყოველ გვარი დარღვევა აცნობონ ცეცხლისაგან დამცველ განყოფილებას, რათა დამნაშავენი სამართალ-

ში იქმნენ მიცემულნი როგორც ცეცხლის გაჩენის ხელის შემწყობნი.

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინ. საქ. სახ. კომისარი ა. **ბეგეჭკორი.**

კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგე **ა. სიდამონიშვილი.**

ცეცხლის დაცვის ინსპექტორის მოადგილე **მასსი.**

2 მაისი. 1922 წ.

ბრძანება № 9.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმ. სახ. კომისარიატისა.

პირველ მაისის ტფილისის ვაგზლის ელექტრონულ სადგურზე ხანძარის (ცეცხლის) გაჩენის გამო გაისმოდა თოფის სროლა, ალბად ცეცხლის მქრობელი რაზმის გამოწვევის მიზნით.

ვბრძანებ შემდეგში ქალაქის ფარგლებში ხანძარის გაჩენის შემთხვევის დროს არავითარი სროლა არ მოხდეს, ხანძარის გაჩენის ნიშნის მისაცემად გამოყენებულ იქნეს ტელეფონები, ორთქლმავლების, ფაბრიკებისა და ქარხნების საყვირები და სადაც ასეთები არ არის, შემაძრწუნებელი ზარები.

შენიშვნა: შეძრწუნებას თოფის სროლით ახდენენ მხოლოდ სამხედრო ნაწილების ყარაულები, რომლებიც პოსტზე სდგანან.

მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომელთ მიუწერ დააკავონ ოქმის შედგენით ხანძარის გაჩენის დროს თოფის სროლის ამტეხი პირები მათი ადმინისტრატიული წესით პასუხის გებაში მისაცემათ.

ბრძანება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინ. საქ. სახ. კომისარი ა. **ბეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

4 მაისი. 1922 წ.

ბრძანება № 10

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა შემჭიდროებული „ხუთთა" საუწყებათაშორისო კომისიას, რომელიც დაარსებული იყო ადგილობრივად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის 14 ივლისის 44 № დადგენილებისა და რომელშიაც შედიოდენ წარმომადგენლები:

1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან (თავმჯდომარე).

2) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატიდან.

3) ქ. ტფილისის რევოლიუციონური კომიტეტიდან.

4) საქართველოს არმიიდან.

და 5) კავკასიის ცალკე არმიიდან,—ევალება ჩემ მიერ დაუყოვნებლივ, ამ ბრძანების გამოქვეყნებისათანავე, შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

1) დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატების შემცირების გამო ხელმეორეთ გასინჯოს ყველა დაწესებულებანი და მოახდინოს მათი შემჭიდროება სათანადო ოქმის შედგენით. ამგვარად განთავისუფლებული შენობები ბინები და ოთახები გადასცეს ქ. თბილისის აღმასკომის საბინაო სექციას, ხოლო შემჭიდროების მოხდენის შესახებ ოქმები და ცნობები შინაგან სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილებას.

2) ინსტრუქციების მიცემა და საზოგადოდ ხელმძღვანელობა ევალება კომუნალურ განყოფილების გამგეს.

3) ა) შემჭიდროება უნდა სწარმოებდეს საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ დაწესებულებებში, რომელთაც კანცელიარიული ხასიათი აქვთ იმ ანგარიშით, რომ თითო თ ნამშრომელზე, რომელიც დაწესებულებაში ფაქტიურად მუშაობს მოდიოდეს თითო კვადრატიული საჟენი, ამასთან მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს კანცელარიის თანამშრომელი (აგენტები, კურიერები, ოთახების მომლელსი და სხვა ანგარიშში არ შედიან). ყოველ განყოფილებაში ერთ კაბინეტზე მეტი არ უნდა იყვეს გარდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევისა, როდესაც გამოიტანს თავის დადგენილებას შემჭიდროებელი კომისია.

ბ) შემჭიდროება დაწესებულებებისა უნდა ხდებოდეს წინ და წინვე შედგენილ სიებით და მოსაზრებანით იმ გვარათ, რომ შესაძლო იყოს განთავისუფლდეს მთელი საბინაო ერთეულები: რამოდენიმე ბინიდან, რომელიც დაწესებულებას უჭირავს, რომ განთავისუფლდეს მთლად ერთი ან რამოდენიმე ბინა, რომ რამდენიმე სახლიდან განთავისუფლდეს ერთი ან რამდენიმე სახლი.

4) დადგენილება საუწყებათაშორისო შემჭიდროებელ ხუთთა კომისიისა დაწესებულებათა შემჭიდროებისა ან მათი თბილისიდან გადატანის შესახებ ითვლება საბოლოოდ და აუცილებლივ უნდა იყოს სისრულეში მოყვანილი, თუნდაც იგი იყოს გასაჩივრებული.

5) ცენტრალური საბინაო განყოფილება მოვალეა თავის მუშაობა შეუთანახმოს ხუთთა კომისიას პარალელიზმის თავიდან ასაშორებლად.

6) საბჭოთა დაწესებულებების ბინათა დათვალიერება მათ შესამჭიდროებლად ან თბილისიდან გადასატანად ექვემდებარება მხოლოდ და მარტოთ ხუთთა კომისიას.

7) არც ერთს დაწესებულებას არა აქვს უფლება ბინის გამოცვლისა ან გაფართოებისა ხუთთა კომისიის ნებადაურთველად.

8) ყველა დაწესებულება, რომელიც აპირებს მოქმედების შეწყვეტას ან თბილისიდან გასვლას მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ ხუთთა კომისიას.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ა. **გეგეჭკორი**.

კომუნალურ განყოფილების
გამგე ა. **სიდომონიშვილი**.

დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა საბინაო ქირის ტარიფიკაციის შესახებ.

1. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. 20 თებერვლის დადგენილების მე 7-ე მუხ. შესასრულებლათ, მუნიციპალიზაციისა და ნაციონალიზაციისაგან თავისუფალი სახლების მეპატრონეთა საკუთარ მფლობელობაში გადასვლის შესახებ, 1922 წლის 1-ლ ივნისიდან შემოღებულია ქირა საცხოვრებელი შენობით სარგებლობისათვის, როგორც მუნიციპალიზაციით და ნაციონალიზაციით ჩამორჩენილ, ისე მუნიციპალიზაციისაგან და ნაციონალიზაციისაგან თავისუფალ სახლებში.

შენიშვნა ბინით მოსარგებლე საბინაო ქირას უხდის სახლის მმართველს ან მეპატრონეებს ყოველთვიურად ნაღდ ფულზე არა უგვიანეს 15 რიცხვისა.

2. ს. ს. ს. რ. ყველა ქალაქები და დასახლებული პუნქტები საბინაო ქირის მხრივ მათი ტერიტორიის, მცხოვრებთა რაოდენობისა და კეთილმოწყობილობის ხარისხის მიხედვით, იყოფა სამ კლასათ.

3. 1-ლ კლასს ეკუთვნის ქალაქები: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ფოთი.

4. მე-2 კლასს ეკუთვნის ქალაქები: სიღნაღი, თელავი, დუშეთი, გორი, ხაშური, სურამი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია, ონი, ხონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, სენაკი, და ზუგდიდი.

5. მე-3-ე კლასს ეკუთვნის ს. ს. ს. რ. ყველა დანარჩენი დასახლებული პუნქტები.

შენიშვნა: საკურორტო ქალაქებისა და დასახლებული ადგილებისათვის და ავტომობილ კლიმატიური სადგურებისათვის ამ დადგენილებაში ნაჩვენები ქირის ნორმები ვრცელდება ადგილობრივ მოქალაქეებზე, რომელნიც მუდმივათ სცხოვრობენ იქ სამკურნალოდ ან მოსასვენებლათ ჩამოსულ მოქალაქეებისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ სეზონში, საბინაო ქირის ტარიფიცალკე იქნება დადგენილი შინაგან საქმეთა სახალხო კომასარიატის კომუნალურ განყოფილების მიერ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთან ერთად.

6. საბინაო ქირას აწესებს ადგილობრივი კომუნალური განყოფილება, იმის მიხედვით, თუ რამდენი ხარჯი მოსდის სახლის შენახვისათვის არის (площадь) ერთეულზე, როგორია ბინის მდებარეობის რაიონი და კეთილმოწყობილობის ხარისხი; მუშა-მოსამსახურეთათვის და მისი სარჩენათ მყოფ ოჯახის წევრებისათვის წესდება საცხოვრებელი ნორმა სასარგებლო არის 25 კვ. არშინი. ქირა წესდება თვის ანგარიშით ყოველ კვადრატიულ არშინზე.

ა) საბჭოთა და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებისა და წარმოების მუშა-მოსამსახურეებისათვის და სახელმწიფო სასწავლებლების მოსწავლეთათვის თვიურად 1 კვ. არშინზე.

ა) 1-ლი კლასის ქალაქებისათვის არა ნაკლებ 1500 მან. და არა უმეტეს 2,000 მ,

ბ) მე-2-ე კლასის ქალაქებისათვის არა ნაკლებ 1000 მან. და არა უმეტეს 1500 მან.

გ) დასახლებული ადგილები მე-3 კლ. არა ნაკლები 500 მან. და არა უმეტეს 1000 მან.

ბ) საბჭოთა დაწესებულებების ან წარმოებათა მიერ სახალხო მმართველობასთან ან მფლობელთან შეთანხმებით კანცელარიებისათვის დაკავებულ საცხოვრებელი ბინებისათვის 1 კვად. არშინზე თვეში:

ა) 1-ლი კლასის ქალაქისათვის არა ნაკლებ 3000 მან. და არა უმეტეს 4000 მან.

ბ) მე-2-ე კლასის ქალაქებისათვის არა ნაკლებ 2500 მან. და არა უმეტეს 3500 მან

გ) მე-3-ე კლას. დასახლებული ადგილებისათვის არა ნაკლებ 2000 მან. და არა უმეტეს 3000 მან.

შენიშვნა 1: ძირითად საბინაო ქირას ემატება თუ თვით ბინაზე არის ა) საბანელის ოთახი 3 პროც, ბ) სადარბაზო შესასვლელი — 3 პროც., გ) შუშაბანდი — 3 პროც, დ) სამზარეულო 3 პროც.

შენიშვნა მე-2-ე: გასავალი ოთახები, რომელიც მხოლოდ აერთებს ბინის ერთ ნაწილს მეორესთან და საცხოვრებლათ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, უნდა გამოაკ-

ლდეს ბინის საერთო დასაბეგრ არეს და დაიბეგროს როგორც შუშაბანდი.

შენიშვნა მე-3-ე: სარდაფიან ან ნახევრად სარდაფიან სართულში საბინაო ქირა მცირდება 50 პროც.

7 დამატებითი არე, რომელიც ეძლევა ზოგიერთ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთა (ექიმები, პროფესორები, ინჟენერები, მასწავლებლები და აგრეთვე პასუხისმგებელი საბჭოთა მოსამსახურეები, პარტიული მუშაკნი და სხვა) არა უმეტეს 40 კვ. არშინისა იბეგრება იმავე ნორმით, როგორც ძირით დი არე.

შენიშვნა: საცხოვრებელი არე, რომელიც უჭირავთ მუშა-მოსამსახურეთ აღნიშნული ნორმის ზევით (25 კვ. არშინი ერთ სულზე), უნდა დაიბეგროს ზედმეტად აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებული ტარიფით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულის ძირითად გაორკეცებულ ქირას.

8. წითელ არმიელის ოჯახის წევრები, რომელიც მისი სარჩენი არიან, უთანასწორდებიან საბინაო ქირის გადახდაში საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს.

9. ის პირები, წარმოებები და დაწესებულებები, რომელნიც არ ეკუთვნიან მე-6 7 და 8 ნაჩვენებ კატეგორიებს, იხდიან მათ მიერ დაკავებული ბინების ქირას სახლის მმართველობასთან ან პატრონთან თავისუფალი შეთანხმებით.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე **ა. სიდამონიშვილი.**

ტეხნიკურ-საალმშენებლო ნაწილის
გამგე **კ. ნანეიშვილი.**

განმარტებითი გარათი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებისათვის საბინაო ქირის ტარიფიკაციის შესახებ.

საბინაო ქირის განსაზღვრული ნორმის დასაწესებლათ საცხოვრებელი ბინებით სარგებლობისათვის როგორც მუნიციპალიზაციის და ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეულს, ისე ასეთებისაგან თავისუფალ სახლებში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილება ამასთანავე დართული დადგენილების პროექტის შემუშავების დროს ემყარებოდა შემდეგ პრინციპებს:

1. ს. ს. ს. რ. ყველა ქალაქებისა და დასახლებული ადგილების დაყოფვა კლასებათ მათ ტერიტორიის, მცხოვრებთა რაოდენობის და კეთილმოწყობილობის ხარისხის მიხედვით.

2. ყველა გადამხდელ მოქალაქეთა, დაწესებულებისა და წარმოებათა დაყოფვა განსაზღვრულ კატეგორიებათ მათი სოციალური მდგომარეობისა უფლება-უპირატესობის მიხედვით.

3. ქირის მაქსიმუმისა და მინიმუმის დაწესება, კომუნალური განყოფილების მიერ. გასაქირავებელი ბინების სამართლიანი შეფასება იმის მიხედვით თუ როგორი ხარჯები მისდის სახლის ექსპლოატაციისათვის არის (площадь) ერთეულზე და უმთავრესათ ბინის კეთილმოწყობილობის ხარისხისა და რაიონის მდებარეობის მიხედვით.

ამიტომ დადგენილებით ნაჩვენები საზღვრებში საბინაო ქირის ნორმის დაწესების დროს ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებებს ევალებათ:

1. სისწორით უხელმძღვანელონ ქალაქებისა და დასახლებული ადგილების საბინაო ქირის მიხედვით კლასებათ დანაწილებას (§§. 2,3,4, და 5).

2. მეედველობაში მიიღონ მოქალაქეების ამ დადგენილების მიხედვით დაწესებულ კატეგორიებათ დაყოფვა, და აგრეთვე მათთვის მინიჭებული უფლება-უპირატესობანი (§§ 6,7,8, და 9).

3. ანგარიში გაუწიონ იმ გარემოებას, რომ ძირითადი ქირა დაწესებული მინიმუმისა და მაქსიმუმის ფარგლებში ყოველი ქალაქისა და კატეგორიისათვის უნდა იცვლებოდეს ქვემოთმოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით:

1. რომელ რაიონშია, ესა თუ ის ბინა (ცენტრალურში, განაპირა თუ ქალაქ გარეთ).

2. როგორი კონსტრუქციისაა სახლი (ქვის, ხე-აგურის, თიხით შელესილი და სხვა).

3. თვით ბინის მდებარეობით (ბინა ეზოშია თუ ქუჩაზე გამოდის).

4. ბინის მდებარეობის სიმაღლით ქუჩის გასწვრივ (სარდაფი, ნახევრად სარდაფი, სართული, აივანი).

შენიშვნა: ჰიგიენის მოთხოვნილების მიხედვით სარდაფი უთანაბარდება აივანს; მე-4-ე სართული ბინას, რომელიც თითქმის ქუჩის გასწვრივ მდებარეობს; მე-3-ე სართული—ბინას მოთავსებულს 12 ვერშოკით მაღლა მიწის სისწვრივ და ბოლოს ჰიგიენის ყოველგვარ მოთხოვნილების უკეთ დამაკმაყოფილებელია ბინა, მოთავსებული მეორე სართულზე, გამთბარ ბინის ზემოთ.

5. ბინებში ჰაერის კუბატურით, ე. ი. იატაკიდან ჭერამდის სიმაღლით.

შენიშვნა: მიღებულ ნორმით, 25 კვ. არშინი სულზე, ის პირი, ვისაც დაკავებული აქვს უფრო ძალალი ბინა, უფრო კარგ ჰიგიენურ პირობებში იქნება ჩაყენებული ვიდრე ის, ვისაც იმავე არის, მაგრამ უფრო დაბალი ბინა უჭირავს.

6. დაკავებული ბინების განათების ხარისხით (ფანჯრები, მათი რიცხვი და არე).

შენიშვნა: განათების არის ნორმათ მიღებულია ბინის იატაკის ზედა პირის $^1/_{10}$.

7. ბინის მდებარეობით ქვეყნის მხარეთა მიმართ.

8. ბინის შეკეთების ხარისხით.

დამატებით ელემენტებს ეკუთვნის: სადარბაზო შესასვლელი, საბანებელი ოთახი, შუშაბანდი და სამზარეულო, რომელთა ქირას იხდიან ყველა მდგმურები, ვინც მით სარგებლობს.

იუსტიციის სახ. კომისარიატი

ინსტრუქცია.

სახალხო ნოტარიუსების მიერ შემოწმებათა მოდენის და საქმის წარმოების წესის, აგრეთვე სახალხო ნოტარიუსების გასამრჯელოს შესახებ.

1. სახალხო ნოტარიუსმა, ყველა მის მიერ მოხდენილ შემოწმების აღსანიშნავად უნდა აწარმოოს სათანადო უფროსის ნოტარიუსისაგან მიღებული და ამ უკანასკნელის მიერ ფურცლობლივ დამოწმებული, ბეჭედ დასმული და ხელ მოწერილი რეესტრები, აგრეთვე სარჩევნი და მაუწყებელნი ყველა იმ საბუთისა და ფულისა, რომელიც შესანახად აქვს მიბარებული.

2. სახალხო ნოტარიუსების რეესტრები უნდა იყოს ერთი და იგივე ტანისა; თითოეულ გვერდსა და თითოეულ სვეტში უნდა აღნიშნული იყოს: ა) საქმის ნომერი, ყოველ წელს პირველ რიცხვიდან დაწყებული, ბ) შემოწმების წელიწადი თვე და რიცხვი, გ) სახელი, მამის სახელი, გვარი და ბინადრობა იმ პირთა, რომელთათვისაც მოხდა შემოწმება ან პროტესტი, დ) შესამოწმებელ სიგელის მოკლე შინაარსი და ე) იმ პირთა ხელის მოწერა რომელთაც მიეკათ შემოწმება ან მოწმობა, მიმღების სახელის, მამის სახელისა და გვარის აღნიშვნით.

3. გათაკებული წიგნები, ყველა თავისი დამატებით, ეგზავნება შესანახათ სათანადო უფროსს სახალხო ნოტარიუსს. თუ სახალხო ნოტარიუსი სამსახურიდან იქნა დათხოვნილი, ან გადაიცვალა წიგნები, უნდა ჩაბაროს რაიონის სახალხო მოსამართლემ სათანადო ნოტარიულ არქივში გადასაცემად.

4. სახალხო ნოტარიუსისადმი წარდგენილ საბუთების პირის სისწორის შემოწმების დროს, ნოტარიუსი ვალდებულია შეადაროს იგი დედანს და შემოწმებაში აღნიშნოს, ვისგან იყო წარდგენილი საბუთი, რომლიდანაც გადადებულია პირი, აგრეთვე გადაღებულია პირდაპირ დედანიდან პირი, თუ სხვა მეორე პირიდან, და ხომ არ იყო დედანსა ან პირვანდელ პირში რამე ამონაფხეკი, მინაწერი, წაშლილი სიტყვები ან სხვა რამ განსაკუთრებული ნიშანი. შემოწმებას უნდა დაესვას ბეჭედი.

5. იმ პირთა ვინაობა, რომელნიც მონაწილეობენ შემოწმების მოხდენაში და რომელთაც სახალხო ნოტარიუსი არ იცნობს, უნდა გამორკვეული იქნეს ან დამამტკიცებელი საბუთებით, რაზედაც მოხსენებული უნდა იყოს თვით შემოწმებაში, ან არა და სახალხო ნოტარიუსისათვის ნაცნობ პირთა ჩვენებით, მოწმეთ შეიძლება ჩამოერთვას ხელწერილი მათი ჩვენების სიმართლეში და მოეთხოვოს მათ ხელის მოწერა ამ ჩვენებაზე.

6. ვისაც, წერა-კითხვის უცოდინრობის გამო ან სხვა მიზეზით, არ შეუძლია ხელის მოწერა შემოწმებულ სიგელის მიღებაში, უფლება აქვს ხელის მოწერა მიანდოს სხვა პირს. ბრმები უთანასწორდებიან წერა-კითხვის უცოდინართ, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარმა მუნჯებმა, ყრუებმა და ყრუ-მუნჯებმა უნდა მოიშველიონ წერა-კითხვის მცოდნე ისეთი პირები, რომელთაც მათთან გამოლაპარაკება შეუძლიათ.

7. სახალხო ნოტარიუსს არ აქვს უფლება შეამოწმოს ხელშეკრულება თუ ქალალდის პირი ან და მიიღოს საქმის მონაწილესაგან მეორესადმი გადასაცემათ განცხადება, თუ ეს ხელშეკრულება, საბუთი ან განცხადება მიმართულია ან შეიძლება ემსახუროს კანონის საწინააღმდეგო მიზანს.

8. განცხადებისა და პასუხის მიღება-გაცემის შესახებ, თუ კი მოწინააღმდეგე მხარემ ასეთი შემოიტანა, სახალხო ნოტარიუსი ხელში აძლევს ან უგზავნის საქმის მონაწილეებს, მათი თხოვნისა-სამებრ, მოწმობას.

9. სახალხო ნოტარიუსი ვალდებულია ურჩიოს ყოველს, ვინც კი წარმოადგენს სიგელს შესამოწმებლად, დასტოვოს მისი პირი სახალხო ნოტარიუსის საქმეებში შესანახავად იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ამ სიგელის დედანი დაიკარგა.

10. იმ პირს, რომელიც წარუდგენს სახალხო ნოტარიუსს ქართულ (სახელმწიფო) ენაზე დაწერილ საბუთს, უფლება აქვს მიიღოს იმ საბუთის თარგმანი ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც იხმარება ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ და რომელიც სახალხო ნოტარიუსმაც იცის. ეს უკანასკნელი პასუხის მგებელია თარგმანის სისწორეში. ამასთანავე დედნად ითვლება ქართული ტექსტი.

11. შესანახად მიღებულ საბუთს, წერილსა და ყოველგვარ ქალალდში, თუ იგი დაბეჭდილ პაკეტშია, სახალხო ნოტარიუსი მიმბარებელს აძლევს ბარათს და ყველა ამაზე შეაქვს თავის მაუწყებლებში. შესანახად მიღებული საბუთი უბ უნდებათ ბარათის წარდგენისას ან სახალხო მოსამართლის დადგენილების ძალით. სახალხო ნოტარიუსს უფლება აქვს მიიღოს ფული მოვალისაგან იმ შემთხვევაში,

თუ მევალის მინდობილებით ვალის გადახდის მოთხოვნა გაგზავნილ იყო სახალხო ნოტარიუსის საშუალებით.

შენიშვნა: თუ ორი კვირის განმავლობაში ვერ მოხერხდა ნოტარიუსის მიერ მიღებულ ფულების გადაცემა კუთვნილებისამებრ, მაშინ ნოტარიუსი ვალდებულია ეს ფული შეიტანოს ხაზინაში სათანადო სახალხო სასამართლოს დეპოზიტად, რაც უნდა ეუწყოს ამავე სასამართლოს.

12. ყოველ მოქმედებაში, რომელიც კი შეადგენს სახალხო ნოტარიუსის მოვალეობას, ეს უკანასკნელი იღებს მისდამი მიმმართველ პირებისაგან გასამრჯელოს მათთან შეთანხმებით, ხოლო, თუ შეთანხმება არ მოხდა, იმ განსაკუთრებულ ნიხრით, რომელსაც დრო გამოშვებით ამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი**.

1922 წ. მარტის 6.

ქ. ტფილისი.

წესები

უფროს სახალხო ნოტარიუსების მიერ სიგელების დამტკიცებისა.

1. უფროსი სახალხო ნოტარიუსები რეესტრებს იღებენ იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან.

2. ნოტარიულ არქივის რაიონში მყოფ ქალაქის უძრავ ქონებისათვის უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებული დავთრები და რეესტრები.

3. დავთრები, სადაც აღინიშნება გარიგება (სდელკა) უძრავ ქონებათა შესახებ, შედგენილ უნდა იქნეს სახალხო ნოტარიუსის სიგელთა დავთრიდან ამოღებულ და უფროსს სახალხო ნოტარიუსის მიერ დამტკიცებულ ამონაწერებისაგან.

4. ამ დავთრებისათვის უნდა არსებობდეს ორი საანბანო სარჩევი უძრავ ქონებათა სახელწოდების და მესაკუთრეთა გვარის აღსანიშნავათ.

5. ყოველი წლის დასასრულს ეს წიგნები საანბანო სარჩევებთან ერთად უნდა გადიკაზმოს ნოტარიულ არქივის ბინაზედ უფროს სახალხო ნოტარიუსის ან მისი მოადგილის ზედამხედველობით.

6. სახალხო ნოტარიუსის მიერ შედგენილ სიგელებს უფროსი სახალხო ნოტარიუსი ამტკიცებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სიგელებს, სახალხო ნოტარიუსის სიგელთა დავთრიდან ამონაწერის სახით, იგი მიიღებს მათი შედგენის დღიდან არა უგვიანეს 6 დღისა.

7. ამონაწერის მიღებისათანავე, უფროს სახალხო ნოტარიუსმა ეს უნდა ჩასწეროს თავის ჟურნალში და აღნიშნოს ამონაწერის მიღების წელიწადი, თვე და რიცხვი და აგრეთვე ის პირიც, ვისგანაც ამონაწერი მიღებულია.

8. მიღებულ ამონაწერის სინამდვილის გამოსარკვევათ უფროსი სახალხო ნოტარიუსი ადარებს ამონაწერის გამცემ სახალხო ნოტარიუსის ხელმონაწერს და ბეჭედის ხსენებულ ნოტარიუსი იმ ხელმონაწერთან და ბეჭდის ტვიფართან, რომელიც ინახება ნოტარიულ არქივში.

9. თუ ამონაწერი გაცემულია სხვა უფროს სახალხო ნოტარიუსის რაიონში სახალხო ნოტარიუსის მიერ, მაშინ ამონაწერზედ დასმული ბეჭედი და ხელმონაწერი შემოწმებული უნდა იქნეს ამ რაიონის უფროს სახალხო ნოტარიუსის მიერ. ამისათვის შეიძლება ამ უკანასკნელთა ამონაწერების ფოსტით გაგზავნა და მისგან ფოსტითვე მიღება.

10. უფროსი სახალხო ნოტარიუსი, გამოარკვევს რა, რომ ამონაწერის დამტკიცებაში არავითარი კანონიერი დაბრკოლება არ არის, მას შემდეგ, რაც საქმის მონაწილენი ხაზინაში შეიტანენ გამოსაღებ ხარჯს და სხვა გადასახადს, ამტკიცებს ამ ამონაწერს თავის წარწერით, ურთავს მას სიგელთა დავთარს და ყველა ამას აღნიშნავს თავის რეესტრში.

იუსტიციის სახალხო კომისარის

მოადგილე **ბროდსკი**.

1922 წ. მარტის 6.

ტფილისი.

დროებითი ნიხრი.

სახალხო ნოტარიუსებისა და ნოტარიუსის მოვალეობის აღმასრულებელთა გასამრჯელოსი.

1. შემოწმება პროტესტისა .	50.000 მ.	და სიგელის თანხის $^1/_5$%
2. შემოწ. რწმუნებ. წერილისა, მორიგების წერილისა და აგრეთვე სამედიატორო წერილისა	100.000 მან.	
3. შემოწ. ქალალდის პირის სისწორისა	50.000 მან.	
4. შემოწ. ხელმონაწერის სინამდვილისა	50.000 მ.	ყოველ ხელმონაწ.
5. შემოწ. საბუთის წარდგენის დროსი	50.000 მან.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. შემოწ. ვინაობისა . . . 100.000 მან.
7. შემოწ. თარგმნის სისწორისა 100 000 მ. ყოველ გვერდში
8. შემოწ. ცოცხალთა შორის ყოფნისა . . . . . 100.000 მან.
9. შემოწ. ერთი პირის განცხადებისა მეორისადმი . 100.000 მან.
10. შემოწ. რაიმე იურიდიულ მოქმედების შესასრულებლ. ნოტარიუსთან საქმის მონაწილეთა გამოცხადების დროსი 100.000 მან.
11. მიღება საბუთებისა შესანახად და ფულისა მევალესათვის გადასაცემად გარიგების (სდელკა) დავალდებულების გამო . . . . . 100.000 მან.
12. სიმტკიცის სიგელის პროექტის შედგენა . . . . . 50.000 მ. და სიგელის თანხის 1 %.

იუსტიციის სახ. კომის მოადგ **ბროდსკი.**

1922 წ. მარტის 6.
ტფილისი — სასახლე.

არა-ოფიციალური განეოფილება

ამხ. ლენინის მოხსენება*)

ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ერთობ ტანმძიმე, ხელმოშვებული და ტომარა ხალხი ვართ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ლონიერად გრძნობს თავს „ობლომოვშჩინა“, რის გამო, ეჭვი არ არის, მოგვცხებენ მათრახებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, დასაწყისი არის, დაზვერვაც უკვე მოვახდინეთ. კაპიტალისტები ცხვირსაც არ შემოჰყოფდნენ ჩვენს სახლში, რომ ნათლად არ ხედავდნენ ელემენტარულ პირობებს მათი მოქმედებისათვის. და რაკი კაპიტალისტების თუ გინდ სულ უმნიშვნელო ნაწილი ფიქრობს ჩვენთან მუშაობას, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ნაწილობრივად ჩვენ გავიმარჯვეთ.

ცხადია, აქ, აღნიშნულ საზოგადოებათა შიგნით, კაპიტალისტები იმდენს მოგვცხებენ, რომ ტკვილებს ოლად ვერ მოვახდით. მაგრამ ეს არაფერია. მე არ ვამბობ, რომ ეს იყოს გამარჯვება, — ეს არის დაზვერვა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენ უკვე ასპარეზი გვაქვს, და რომ დღეს შეგვიძლიან უკან დახევა შევაჩეროთ.

დაზვერვამ გამოარკვია ხელშეკრულებათა სიმცირე კაპიტალისტებთან, მაგრამ მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ რამდენიმე ასეთი ხელშეკრულება უკვე დადებულია. რაც დღეს არის იმის საშუალებით უნდა ვისწავლოთ და ვიმოქმედოთ შემდეგში. ამ აზრით, უკვე დრო არის, შევსწყვიტოთ ნერვიულობა, ყვირილი, დაბნეულობა და ფუსფუსი. წერილი წერილს მოსდევს, ტელეფონოგრამა ტელეფონოგრამას: „მოახდინეთ ჩვენი რეორგანიზაციაც, ვინაიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკა გვაქვს“. ყველა ფაციფუცშია, ყველა ცოდვილობს, არის ერთი დავიდარაბა, ალიაქოთი და არეულობა; პრაქტიკულ საქმეს არავინ აკეთებს, არამედ ყველა მსჯელობს, როგორ შეეგუოს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და შედეგი, სიგლახის მეტი არაფერია.

*) იხ. „მოამბე“ № 32.

ვაჭრები კი დასცინიან კომუნისტებს და ალბად დასძენენ: ეს ხალხი წინად სწორუპოვარი იყო სხვისი დაყაბულების ცდაში, ეხლა სწორუპოვარია მსჯელობა-ლაყბობაში. რომ ჩვენ კაპიტალისტები დაგვცინოდნენ, რომ ჩვენ დავიგვიანეთ — ეს სრულიად უეჭვო ფაქტია, და ამ აზრით ვამბობ მე, რომ საჭიროა ეს დირექტივი ნერვიულობის შეწყვეტისა დადასტურებულ იქნეს ყრილობის სახელითაც უკან დახევა გათავდა! კაპიტალისტებთან მუშაობის მთავარი გზები გამორკვეულია; არის ნიმუშები მცირე რაოდენობის მაინც. ჭკუას ძალას ნუ ატანთ, დაეთხოვეთ მსჯელობას ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, ლექსები პოეტებმა სწერონ, ამიტომაც ჰქვიანთ მათ პოეტები. მაგრამ ეკონომისტებო, ნუ იტეხთ თავს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, არამედ გაამრავლეთ აღნიშნულ საზოგადოებათა რაოდენობა, შეამოწმეთ კომუნისტების რიცხვი, რომელთაც იციან შეჯიბრების მოწყობა კაპიტალისტებთან!

უკან დახევა შეჩერებულია, და ჩვენს ამოცანას ახლა ძალთა გადაჯგუფება შეადგენს. აი დირექტივა, რომელიც უნდა გამოიტანოს ყრილობამ, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ყოველგვარ არევ-დარევას, აურზაურსა და თავმოჭრილობას. დამშვიდდით, ნუ გინდათ სიბრძნე გამოიჩინოთ, ეს ნაკლად ჩაგეთვლებათ, თქვენ პრაქტიკულად უნდა დაამტკიცოთ, რომ კაპიტალისტებზე ნაკლებად არ შეიძლიანთ მუშაობა. კაპიტალისტები ქმნიან გლეხობასთან ეკონომიურ კავშირს თავის გამდიდრებისათვის, თქვენ უნდა შექმნათ კავშირი გლეხის ეკონომიკასთან პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიურ ხელისუფლების გამდიდრებისათვის. კაპიტალისტის წინაშე გაქვს უპირატესობა, რადგან შენს ხელშია სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება და მთელი რიგი ეკონომიური საშუალებისა. შენ არ იცი მხოლოდ ამის გამოყენება, ფხიზლად შეხედე

ცხოვრებას, ჩამოიგლიჯე ყალბი ოქრომკედი, საზეიმო კომუნისტური სამოსი, უბრალოთ შეუდექი უბრალო და მარტივი საქმის შესწავლას და მაშინ ჩვენ დავამარცხებთ კერძო კაპიტალისტს. ჩვენ გვაქვს სახელმწიფოებრივი ხელისუფლება და მრავალი ეკონომიური საშუალება; თუ დავამარცხებთ კაპიტალიზმს და შევქმნით კავშირს გლეხის ეკონომიკასთან, ჩვენ ვიქცევით აბსოლიუტურად დაუძლეველ ძალად და მაშინ სოციალიზმის აღმშენებლობა იქნება არა მარტო იმ მცირე ჯგუფის საქმე, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწოდება, არამედ მთელი მშრომელი მასსებისა, მაშინ გლეხი დაინახავს, რომ ჩვენ მას ვემხრობით, იგი ჩვენ გამოგვყვება და თუ მისი მსვლელობა ჩვენს გზაზე იქნება ასჯერ ნელი, სამაგიეროთ იგი იქნება ასიათასჯერ მტკიცე და საიმედო.

აი რა აზრით უნდა ვილაპარაკოთ უკან დახევის შეჩერებაზე; და სწორი იქნებოდა, თუ ეს ლოზუნგი ამა თუ იმ ფორმით იქცეოდა ყრილო'ის გადაწყვეტილებად.

ევოლიუცია და ტაქტიკა.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა შევეხო ერთ საკითხს, მე მსურს გავარკვიო რა არის ბოლშევიკების ახალი ეკონომიური პოლიტიკა.—ევოლიუცია თუ ტაქტიკა. ასე დააყენეს საკითხი „სმენა ვეხოვცებმა;" თქვენ იცნობთ ამ ხალხს, ეს არის ერთი მიმდინარეობა რუსეთის ემიგრაციისა, მიმდინარეობა საზოგადოებრივ პოლიტიკური, რომელსაც სათავეში უდგანან კადეტების თვალსაჩინო მოღვაწენი, ყოფილი კოლჩაკის მთავრობის ზოგიერთი მინისტრები და სხვ. ეს ხალხი დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება აშენებს რუსეთის სახელმწიფოს, ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია გამოგვყვეს ჩვენ.

„მაგრამ როგორ სახელმწიფოს აშენებს საბჭოთა ხელისუფლება? ისინი ამბობენ,—თითქოს კომუნისტურს და გვარწმუნებენ, რომ ეს არის—ტაქტიკა: ბოლშევიკები მძიმე მომენტში გარს მოუვლიან კერძო კაპიტალისტებს და მერე თავისას გაიტანენ. მათ შეუძლიანთ ილაპარაკონ, რაც მოსწონთ, ხოლო ნამდვილათ ეს ტაქტიკა კი არ არის, არამედ ევოლიუცია, შინაგანი რადიკალური ცვლილება, ისინი აღიარებენ, დაუბრუნდებიან ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და ამის გამო ჩვენ მათ მხარი უნდა დაუჭიროთ. ისტორია მიდის სხვა და სხვა გზით". ასე მსჯელობს „სმენა ვეხი".

ზოგიერთი მათგანი თვალთმაქცობს და კომუნისტად ასაღებს თავს; მაგრამ არის უფრო პირდაპირი ხალხიც და მათ შორის უსტლიაროვი. თუ არ ვცდები სწორედ ეს უსტლიაროვი იყო კოლჩაკის მინისტრად. იგი არ ეთანხმება თავის ამხანაგებს და ამბობს: კომუნიზმს რაც შეეხება არ ვიცი, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ეს მათი ტაქტიკა არ არის, არამედ ევოლიუცია. მე ვფიქრობ, რომ თავისი ასეთი პირდაპირი განცხადებით უსტლიაროვი დიდ სამსახურს გვიწევს. ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის,—განსაკუთრებით მე ჩემის თანამდებობით,—ტკბილი კომუნისტური სიცრუე—„კომსიცრუე"=გვესმის იგი ცისმარე დღე, ყოველ ნაბიჯზე იმდენი და იმისთანა, რომ გული გვრევა მწარედ, უსაზღვროდ. და აი, ამ „კომსიცრუის" ნაცვლად მოდის „სმენა ვეხის" ნომერი და ამბობს პირდაპირ, აშკარად:—ეს სრულიადაც ასე არ არის, თქვენ გეჩვენებათ მხოლოდ, ნამდვილათ კი მიექანებით ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ჭაობში და იქ იფრიალებს კომუნისტური დროშები სხვა და სხვა წარწერებით.

ეს მეტად სასარგებლოა, იმიტომ რომ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არის არა უბრალო გადამღერება იმისა, რაც გამუდმებით გვესმის გარშემო, არამედ კლასიური ჭეშმარიტება ჩვენი კლასიური მტრებისა. ძალიან სასარგებლოა ასეთი რამე ნახო; იგი იწერება იმიტომ კი არა, რომ კომუნისტურ სახელმწიფოში მიღებულია ასე წერა, ან და აკრძალულია სხვანაირად წერა, არამედ იმიტომ, რომ იგი ნამდვილად არის კლასიური ჭეშმარიტება და სიმართლე, ტლანქად და აშკარად გამოთქმული კლასიური მტრების მიერ. მე მხარს უჭერ საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში—ამბობს უსტლიაროვი—თუმცა ვიყავი კადეტი, ბურჟუა და ვიცავდი ინტერვენციას, მე მხარს უჭერ საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან იგი შესდგა იმ გზაზე, რომელითაც უსათუოდ მიექანება ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ხელისუფლებისაკენ.

ეს ძალიან სასარგებლო ამბავია, რომელიც, მე მგონია, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში; და გაცილებით უკეთესია ჩვენთვის, როდესაც „სმენა-ვეხოველი" ასე სწერს, ვიდრე ის, რომ ზოგიერთი მათგანი თითქმის კომუნისტად ასაღებს თავისა და შორიდან გეძნელება კიდეც გაარჩიო მას ღმერთი სწამს თუ კომუნისტური რევოლიუცია. ასეთი გულახდილი მტრების ყოლა სასარგებლო საქმეა, უნდა ვსთქვათ პირდაპირ. ასეთი ამბები შესაძლებელია. პირდაპირ უნდა ვსთქვათ ესეც, ისტორიამ იცის ყოველგვარი გარდაქმნა. რწმენისა, ერთგულებასა და სხვა სულიერ მაღალ თვისებაზე დაყრდნობა, პოლიტიკაში სრულიად არ არის სერიოზული ნაბიჯი. სულიერი, მაღალღირსებიანი თვისება, ყველა ადამიანს როდი აქვს, არამედ მეტად მცირე რიცხვს, ხოლო ისტორიულ გამოსავალს სწყვეტს გიგანტური მასსა: და ზოგჯერ ასე ხდება, რომ თუ ეს მცირე რიცხვი გვერდში არ ამოუდგა მასსას, ეს უკანასკნელი მაინც და მაინც თავაზიანად არ ეპყრობა პირველს.

ბევრი იყო ამის მაგალითი და ამიტომ „სმენა ვეხოვცების" გულახდილ განცხადებას უნდა ვივე სალმოთ. მტერი ამბობს კლასიურ ჭეშმარიტება და აღნიშნავს იმ საფრთხეს, რომელიც ადგას ჩვენ წინაშე. მტერი ცდილობს, რომ ეს საფრთხე იქცეთავიდან აუცილებელ მოვლენად. „სმენა-ვეხი" გამოხატავს ათასი და მრავალი ათეული ათასი ბურჟუის განწყობილებას, ან და საბჭოთა მოსამსახუ-

რის სულისკვეთებას, რომელიც მონაწილეობას იღებს ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში. ეს არის ძირითადი და ნამდვილი საფრთხე. და ამიტომ აღნიშნულ საკითხს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება: და მართლაც, ვინ აჯობებს, ვინ ვის დაძლევს? მე ვლაპარაკობდი შეჯიბრებაზე. პირდაპირ გამოლაშქრებას ჩვენს წინააღმდეგ ვერ ვხედავთ, ყელში ხელს არავინ გვიჭერს. რა იქნება ხვალ, ამას კიდევ ვნახავთ, მაგრამ დღეს იარიღით ხელში ჩვენსკენ არავინ მოიმართება, და მიუხედავად ამისა, ბრძოლა კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ ასჯერ მეტად სასტიკი და მკაცრია; მაგრამ ჩვენ ყოველთვის ნათლად ვერ ვამჩნევთ სად არის მტერი და ვინ არის ჩვენი მეგობარი. მე ვამბობდი კომუნისტური შეჯიბრების შესახებ მეურნეობის ფორმების განვითარებისა და საზოგადოებრივი წყობილების ფორმების თვალსაზრისით. ეს არ არის შეჯიბრება, ეს არის უსასტიკესი გაალმასებული, უკანასკნელი (ან მასთან ახლო მდგომარე) ბრძოლა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმის შორის.

რაშია ჩვენი ძალა.

ჩვენ აქ გარკვევით უნდა დავაყენოთ კითხვა, რაში მდგომარეობს ჩვენი ძალა და რა გვაკლია ჩვენ პოლიტიკური ხელისუფლება საკმაოდ გვაქვს; ძალიან გაჭირდება ვინმე მოინახოს აქ ისეთი, რომელიც მიგვითითებდა, რომ ამა და იმ პრაქტიკულ კითხვაში, ამა და ამ საქმიან დაწესებულებაში, კომუნისტებს, კომუნისტურ პარტიას აქვს, თუნდაც სულ მცირედ შეკვეცილი ხელისუფლება. ძირითადი ეკონომიური ბაზა, ყველაფრის გადამწყვეტი მსხვილი წარმოებანი, რკინის-გზა და სხ.—ჩვენს ხელშია. იჯარა, რაც გინდა განთავისუფლებულიც იყოს იგი იქა აქ, საერთოდ სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს და შეადგენს თვალუხილავ ნაწილს. ეკონომიური ძალა იმდენია რუსეთის პროლეტარული სახელმწიფოს ხელში, რომ იგი სრულიად საკმარისია კომუნიზმში გადასვლის უზრუნველსაყოფად. მაშ რაღა გვაკლია? აშკარაა რაც გვაკლია. გვაკლია ის, რომ საკმაოდ კულტურული ვერ არის კომუნისტების ის ნაწილი, რომლის ხელშიაც არის მმართველობა. ავიღოთ მოსკოვი—4700 პასუხისმგებელი კომუნისტი—და ავიღოთ ეს ბიუროკრატიული მანქანა, დიდი ზღვა დანარჩენ მომუშავეთა—ვინ ვის მიყავს, ვინ ვის მიუძღვის? ფრიად საეჭვოა რომ კომუნისტებს ვინმე მიჰყავდეთ და წინამძღოლობდენ; მართალი თუ გინდათ კომუნისტები მოჰყავთ და მათ წინ მიუძღვიან. აქ მოხდა რაღაც იმის მსგავსი, რასაც ჩვენ ბავშობაში მოგვითხრობდენ ხოლმე ისტორიიდან. ჩვენ გვასწავლიდნენ: მოხდება ხოლმე რომ ერთი ხალხი დაიპყრობს მეორეს, და ის ხალხი, რომელმაც დაიპყრო არის დამპყრობელი და ის ხალხი, რომელიც დაპყრობილია არის დამარცხებული. ეს მარტივი ამბავია და ყველასათვის გასაგები. მაგრამ რა მდგომარეობაშია თვითეული ამ ხალხის კულტურა? აქ საქმე ისე უბრალოთ აღარ სდგას იმ შემთხვევაში, როცა დამპყრობელი დამარცხებულზე უფრო კულტურულია, თავზე ახვევს უკანასკნელს თავის კულტურას, ხოლო წინააღმდეგ, თუ დამარცხებულის კულტურა უფრო ღონიერია, მაშინ დამპყრობი განიცდის ამ კულტურის ბატონობას. მგონია რაღაც ამის მსგავსი მოხდა ჩვენი რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, მგონია 4.700 კომუნისტი (თითქმის მთელი დივიზია და სულ რჩეულები) დაემორჩილა უცხო კულტურას. მართალია, აქ ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება მივიღოთ, თითქოს დამარცხებული მაღალი კულტურის პატრონია. სრულიადაც არაა. მისი კულტურა უმნიშვნელოა, არარაობა, მაგრამ მაინც მეტია ჩვენსაზე. ერთი ბეწო და საცოდავია დამარცხებულის კულტურა, მაგრამ იგი მაინც უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი პასუხისმგებელი კომუნისტებისა. რადგანაც ამათ ნატამალიც არ გააჩნიათ მმართველობის ცოდნისა. კომუნისტი ჩადგება თუ არა დაწესებულების სათავეში, (ზოგჯერ ამ თანამდებობაზე მას განგებ გამოიყვანენ ხოლმე საბოტაჟნიკები, ერთგვარი ფირმისათვის), და ხელად გადაამუშავებენ, გააბრიყვებენ, და თავს გაუბრუებენ. ეს მეტად სამწუხარო ამბავია, ან ყოველ შემთხვევაში ვერ არის მაინც და მაინც სასიამოვნო აღმოჩენა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ავის დანახვა. ეს არის ჩემის აზრით. ერთი წლის პოლიტიკური გაკვეთილი და ამ მიზნის ქვეშ გაივლის ბრძოლა 1922 წ. განმავლობაში.

შესძლებენ თუ არა პასუხისმგებელი კომუნისტები იმის გაგებას, რომ მათ არ იციან მართვა-გამგეობა? აი, ამას თუ გაიგებენ მაშინ რა თქმა უნდა, გაიწრთვნებიან და შეისწავლიან, რადგან ამის შესწავლა შეუძლებელი არ არის, საჭიროა მხოლოდ მეცადინეობა. ჩვენში მარჯვნივ და მარცხნივ აფრიალებენ ბრძანებასა და დეკრეტებს და ცხადია აქედან არაფერი გამოდის, ან და გამოდის ჩვენი სურვილების საწინააღმდეგო შედეგები.

შეჯიბრება და შეჭიდება, რომელიც ახალ ეკონომიური პოლიტიკის აღიარებასთან ერთად ჩვენ დღეს წესრიგში წამოვაყენეთ, არის მეტად სერიოზული შეჯიბრება. გეგონება, რომ ამ შეჯიბრებას ადგილი აქვს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, ნამდვილად კი იგი არის კიდევ ერთი ფორმა ორი შეურიგებელ კლასის ბრძოლისა; იგი არის კიდევ ერთი ფორმა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის გამართულ ბრძოლისა, ბრძოლისა, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და რომელიც მოსკოვის ცენტრალურ დაწესებულებებშიაც კი ვერ დაგვიძლევია კულტურულად. ასეა, რადგან ყოველ ნაბიჯზე ბურჟუაზიის წარმომადგენელმა უკეთ იცის საქმე ვიდრე ჩვენმა რომელიმე საუკეთესო კომუნისტმა; მას აქვს ძალა უფლება, აქვს ყოველნაირი შესაძლეობა, მაგრამ არ იცის როგორ მოიხაროს, როგორ ისარგებლოს იგი.

მე მინდა მოვიყვანო აქ ერთი ციტატა ალექსანდრე თოლორსკის წიგნიდან. წიგნი გამოვიდა ქ. ვესეგონსკში (არის ასეთი სამაზრო ქალაქი ტვერის

გუბერნიაში) საბჭოთა რევოლიუციის პირველ წლის თავზე 1918 წ. ნოემბრის 7-ს ეს ვესეგონელი ამხ. ალბათ პარტიის წევრია. დიდი ხანია, რაც წიგნი წავიკითხე და შეიძლება რამეში შევცდე: თოდორსკი მოგვითხრობს როგორ შეუდგა იგი ორი საბჭოთა ქარხნის მოწყობას, და როგორ გაურია ამ საქმეში ორი ბურჟუა მაშინდელი წესების მიხედვით. თავისუფლების აღკვეთისა და ქონების კონფისკაციის დამუქრებით. ეს ორი ბურჟუა მოწვეული იქნენ ქარხნის აღდგენის საქმეში, ჩვენ ვიცით როგორ ვიწვევდით ბურჟუაზიას 1918 წელში, (სიცილი) ასე რომ დაწვრილებით ამაზე შეჩერება არა ღირს: დღეს ჩვენ მას სხვაგვარი ლონისძიებით ვიწვევთ. ბურჟუაზიის დამარცხება, მისი საბოლოოდ წელში მოგრეხა—ეს მხოლოდ ნახევარი საქმის გაკეთებას ნიშნავს, ამის შემდეგ საჭიროა აიძულო იგი, რომ ჩვენთვის იმუშაოს".

ეს შესანიშნავი სიტყვებია, რომელიც გვაჩვენებს, რომ ქ. ვესეგონსკშიაც, 1918 წელშიც კი, იყო სწორი გაგება ურთიერთობისა გამარჯვებულ პროლეტარიატსა და დამარცხებულ ბურჟუაზიას შორის.

ექსპლოატატორის დამარცხება, მისი მოღუნვა - მხოლოდ საქმის ნაწილია. ხოლო აქ ცენტრში, მოსკოვში, ეს პასუხიმგებელ მომუშავეში ოთხმოცდაათი მაინც უსათუოდ ფიქრობს, რომ სწორედ ეს არის, მთავარი საქმე, ე. ი. ბურჟუაზიის წარმოქცევა და მისი ფეხ ქვეშ გაგდება.

კომუნისტური საზოგადოების აშენება კომუნისტების ხელით, ეს არის ბავშური, სრულიად ბავშური იდეა, კომუნისტები მხოლოდ ერთი წვეთია ზღვაში, ხალხის ზღვაში. კომუნისტები მხოლოდ მაშინ შესძლებენ გაიყოლიონ ხალხი არჩეულ გზაზე, თუ ამ გზას სწორედ განსაზღვრავენ, მაგრამ არა მარტო საკაცობრიო ისტორიული მიმართულების აზრით. ამ მხრივ ჩვენი გზა განსაზღვრულია აბსოლიუტური სისწორით, თვითეული სახელმწიფო გვაძლევს საბუთს, რომ ჩვენ არ შევმცდარვართ, ეს ასეა, მაგრამ აქ ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ქვეყანაში, არის საჭირო აღნიშნული გზის განსაზღვრა მთლიანად და სავსებით. და აქ იგი არ განისაზღვრება მარტო ამ საერთო მიმართულებით, არამედ იმათაც, რომ ინტერვენცია არ იქნება, და რომ ჩვენ შევსძლებთ მივსცეთ გლეხს საჭირო საქონელი. გლეხი გვეტყვის: „შენ კარგი კაცი ხარ, იცავდი ჩვენს სამშობლოს და ჩვენც მოგსდევდით, მაგრამ თუ შენ მეურნეობის მოწყობისა და გაძღოლის თავი არა გაქვს, ჩამოდექ გზიდან". დიახ, გლეხი ამას იტყვის.

მეურნეობის გაძღოლას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ კომუნისტები მოახერხებენ მოაწყონ ეს მეურნეობა სხვის ხელით, ხოლო თითონ ისწავლიან ბურჟუაზიისაგან და დააყენებენ იმ გზაზე, რომელიც მათ ამოირჩიეს.

კომუნისტი ფიქრობს, რომ აი, მე გახლავართ, მე ყველაფერი ვიცი რადგან პასუხისმგებელი კომუნისტი ვარ, განა ისეთი ხალხი დამიმარცხებია, როგორც ვინმე ნოქარი? ფრონტზე ვყოფილვარ, ვინ არ გამიქცევია,—და აი, სწორედ ასეთი განყოფილება გვიხდენს საქმეს. ეს სულ უმნიშვნელო ნაწილია საქმის, როცა ჩვენ ექსპლოატატორს ვამარცხებთ და დავსცემთ. რასაკვირველია ეს საჭიროა და სახელმწიფო პოლიტიკურმა მმართველობამ და ჩვენმა სასამართლომ ისე სუსტათ არ უნდა აწარმოოს ეს საქმე. როგორც აქამდე, მათ უნდა ახსოვდეთ რომ ისინი პროლეტარული სასამართლოებია, მთელი ქვეყნის მტრებით გარსშემორტყმულნი. ეს ძნელი საქმე არ არის, რამდენიმეთ იგი უკვე შესწავლილი გვაქვს.

გამარჯვების მეორე ნაწილია კომუნიზმის შენება არა კომუნისტური ხელებით, ცოდნა პრაქტიკულად იმის კეთებისა, რისი გაკეთებაც გვიხდება ეკონომიურად,—ეს არის გლეხის მეურნეობასთან კავშირის დადება, გლეხის დაკმაყოფილება რათა მან სთქვას: მართალია, სასტიკია, მძიმეა და მტანჯველი სიმშილი, მაგრამ მე ვხედავ, რომ დღევანდელი ხელისუფლება, თუმცა უჩვეულოა, მაინც იძლევა პრაქტიკულ, რეალურად ხელშესახებ სარგებლობას. ჩვენ უნდა შევსძლოთ, რომ ის მრავალრიცხოვანი ელემენტი (იგი ასჯერ მეტია ჩვენზე), რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, მოქმედებდეს ისე, რომ ჩვენ გვქონდეს საშუალება და უნარი თვალყური ვადევნოთ მის მუშაობას, რომ მისი ხელებით კეთდებოდეს კომუნიზმისათვის სასარგებლო საქმე. ეს არის ოთხთავრისი დღევანდელ მდგომარეობაში, ვინაიდან, თუ ზოგიერთ კომუნისტს ისმის და ხედავს უპარტიო მასის თანამშრომლობის აუცილებლობას, ყოველ შემთხვევაში პარტიის ფართო წრეებს არა აქვთ ეს გაგებული და შეთვისებული. რამდენი ცირკულიარი გამოცხვა ამის შესახებ, რამდენი დაიწერა, რამდენი ითქვა, მაგრამ განა ამ ერთი წლის განმავლობაში გაკეთდა რამე? არაფერი და ჩვენი პარტიის მრავალრიცხოვან კომიტეტებში, ხუთ კომიტეტსაც ვერ გამოსძებნით ისეთს, რომ გვიჩვენოს თავისი მუშაობის რა-მე შედეგი, აი რამდენათ ჩამოვრჩით ჩვენ იმ მოთხოვნილებას, რომელიც დღეს სდგას ჩვენს წინაშე და და ვცხოვრობთ 1918--1919 წ.წ. ტრადიციებით. ეს უდიდესი წლები იყო, მაშინ იქმედებოდა თვალუწვდენი საკაცობრიო ისტორიული საქმე. მაგრამ რომ დავჯდეთ ყური მიუგდოთ და თვალი და გონება მოგვტაცოს ამ წარსულმა დრომ, მოგვტაცოს იმდენათ, რომ ვეღარ ვხედავდეთ ჩვენს წინაშე წარმომდგარ ახალ ამოცანებს,—ეს იქნებოდა დაღუპვა ოეჭველი, აბსოლიუტური დაღუპვა.

ორი მაგალითი.

მე მსურს ჩვენი მმართველობის დასახასიათებლად ორი პრაქტიკული მაგალითის მოყვანა. მე უკვე მოგახსენეთ, რომ უფრო სწორი იქნებოდა ამ მიზნისათვის აგვეღო ერთი რომელიმე სახელმწიფო ტრესტთაგანი.

ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ არ შემიძლიან მივმართო ამ სწორ გზას; მიზეზი ის გახლავთ, რომ საჭირო იყო მასალების შესწავლა სრულიად კონკრეტიულად, დაწკრილებით ერთი ტრესტის შესახებ მაინც, სამწუხაროთ მე ამის საშუალება არ მქონდა, და ამიტომ ავიღებ ორ პატარა მაგალითს: ერთი მაგალითი ასეთია: მოსკოვის მომხმარებელი საზოგადოება ბრალსა სდებდა საგარეო ვაჭრობის კომისარიატს ბიუროკრატიზმში; მეორე მაგალითი გახლავთ „დონბასის“ ცხოვრებიდან.

პირველი მაგალითი ცოტა შეუფერებელია, მაგრამ იგი მაინც გამოდგება ჩემი ძირითადი აზრის საილუსტრაციოდ. უკანასკნელი თვეების განმავლობაში, როგორც თქვენ მოგეხსენებათ გაზეთებიდან, მე არ მქონდა საშუალება უშუალო მონაწილეობა მიმეღო ჩვენს საქმეებში, მე არ ვმუშაობდი არც სახალხო კომისართა საბჭოში, არც ცენტრალურ კომიტეტში, ძვირად მოვინახულებდი ხოლმე მოსკოვსა და თვითეული ასეთი დროებითი სტუმრობის დროს, ჩემს ყურადღებას იპყრობდა ენერგიული, საშინელი ჩივილი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიმართ. რომ ეს კომისარიატი უხეირო და ვოლოკიტის მიმდევარია, ეს ჩემთვის ყოველთვის აშკარა იყო, მაგრამ როდესაც საჩივრები განსაკუთრებით გამწვავდა, მე შევეცადე მომენახა კონკრეტიული შემთხვევა და გამომერკვია თუ რაში იყო საქმე, რა სჭირს ამ დაწესებულებას, რატომ არ იძვრის ადგილიდან ეს მანქანა.

მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებას უნდა ეყიდა კონსერვები; ამისათვის გამოცხადდა საფრანგეთის მოქალაქე. მე არ ვიცი რა ინტერესი ამოძრავებდა აღნიშნულ მოქალაქეს, შეიძლება საერთაშორისო პოლიტიკური—ანტანტის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ან კიდევ შეიძლება აპრობაცია პუანკარესი და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრებისა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც, ვინაიდან ამ ბურჟუაზიის წარმომადგენელი აღმოჩდა მოსკოვში და ჰყიდდა კონსერვებს.

ამაზე ადვილი რაღა იქნება? მაგრამ თურმე ნუ იტყვით, თუ ვიმსჯელეთ საბჭოსებურათ ისე, როგორც წესი და რიგია, ეს საქმე—კონსერვების ყიდვა, სახუმარო საქმე სრულიადაც არ ყოფილა. მე არ შემეძლო უშუალოდ თვალყურის დევნება ამ შემთხვევისათვის და მოვაწყვე გამოძიება. მაქვს ამ ჟამად რვეული, სადაც ჩაწერილია, თუ როგორ ვითარდებოდა ეს შესანიშნავი ისტორია. იგი დაიწყო იმით, რომ თებერვლის 11-ს ამხ. კამენევის მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა ბიურომ მიიღო დადგენილება, რომ სასურველია შეძენილ იქნეს უცხოეთში სასურსათო საგნები. აბა რაღა თქმა უნდა, რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ ბიუროს გარეშე, როგორ შეუძლიანთ რუსეთის მოქალაქეებს გადასწყვიტონ ასეთი საკითხი? აბა რა წარმოსადგენია, რომ 4,7000 პასუხისმგებელ ამხანაგს (ეს რიცხვი ნაჩვენებია მხოლოდ აღწერით) ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკური ბიუროს გარეშე შეეძლო გადაეწყვიტა უცხოეთში სურსათის შეძენის საკითხი. რასაკვირველია ამის წარმოდგენა რაღაც არა ბუნებრივი ამბავი იქნებოდა. ამხ. კამენევმა ალბათ კარგათ იცის ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი სინამდვილე; ამიტომ იგი მაინცა და მაინც ვერ დაენდო პასუხისმგებელ მომუშავეთა დიდ რიცხვსა და დაიწყო იმით, რომ ორივე ხელი ხარს რქაში ჩასჭიდა, (ხარს თუ არა პოლიტიკურ ბიუროს მაინც); და მყისვე მიიღო (მე არ გამიგია, რომ ამის შესახებ რაიმე კამათი ყოფილიყო) რეზოლიუცია: „მიექცეს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ყურადღება იმ გარემოებას, რომ სასურველია უცხოეთიდან სურსათის შემოზიდვა; ამასთანავე ბაჟი.. და სხვ.“ მიექცა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ყურადღება. საქმე წინ მიდის. ეს მოხდა თებერვლის 11-ს. მაგრამ დაახლოვებით თებერვლის გასულს მოსკოვში გახლდით და ერთბაშად მომესმა გოდება, პირდაპირ საშინელი გოდება. გოდებდნენ და მოსთქვამდნენ მოსკოველი ამხანაგები. რაშია საქმე? სურსათი ვერ გვიყიდია. რატომ? მიზეზი საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ გაჭიანურებით საქმის წარმოება. მე კარგა ხანი არ ვღებულობდი მონაწილეობას საქმეებში და მაშინ არ ვიცოდი, რომ ამის შესახებ იყო პოლიტიკური ბიუროს დადგენილება და მხოლოდ უთხარი საქმეთა მმართველს: მონახეთ ქალალდი და მაჩვენეთ მე. და დასრულდა ეს ამბავი იმით, რომ როცა ამხ. კრასინი ჩამოვიდა, კამენევი მას მოელაპარაკა, საქმე მოგვარებულ იქნა და ჩვენ კონსერვები ვიყიდეთ. ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება, რომ კამენევსა და კრასინს შეუძლიანთ რიგიანი მოლაპარაკების წარმოება და იმ პოლიტიკური ხაზის სწორი განსაზღვრა, რომელსაც პოლიტიკური ბიურო მოითხოვს, ამაში სრულიადაც ეჭვი არ მეპარება.

რომ პოლიტიკური ხაზი ვაჭრობის სფეროშიაც სწყდებოდეს კამენევისა და კრასინის მიერ, ჩვენ გვექნებოდა საუკეთესო სახელმწიფო საბჭოთა რესპუბლიკების შორის მთელ მსოფლიოში. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ თვითეული უბრალო სავაჭრო გარიგების გამო ბაწარი ჩაბა პოლიტიკური ბიუროს წევრს ამხ. კამენევს და კრასინს (მით უფრო, როცა უკანასკნელს თავზე აწევს დიპლომატიური მუშაობის წარმოება გენუას კონფერენციის წინ, რომელიც მოითხოვს განუზომელ შრომას) და წაათრიო ეს ამხანაგები კონსერვების საყიდლად საფრანგეთის მოქალაქისაგან. ასე მუშაობა, ამხანაგებო, შეუძლებელია, ეხლა მე მაქვს გამოძიება ამ საქმის შესახებ; მე მაქვს ორი გამოძიებაც: ერთი მოახდინა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველმა გორბუნოვმა და მისმა თანაშემწემ მიროშნიკოვმა, ხოლო მეორე გახლავთ საქმე, რომელსაც აწარმოებდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

როგორ მოხდა ეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, კონსერვების საყიდლად საჭირო იყო ორი გამოძიება, კომენდანტისა და კრასინის ჩარევა და პოლიტიკური ბიუროს დირექტივი. რა გვაკლდა? პოლიტიკური ხელისუფლება? არა. ფული მოინახა, ასე რომ პოლიტიკური ხელისუფლებაც იყო და ეკონომიურიც. ყველა დაწესებულება თავის ადგილზეა. მაშ რაღა გვაკლია? გვაკლია კულტურულობა. მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოების მომუშავეთა 99 მეასედი (რომელთა წინააღმდეგ მე არაფერი მაქვს და ვსთვლი მათ ჩინებულ კომუნისტებათ) და საგარეო ვაჭრობის კომისარიატის თანამშრომელნი ვერ მიუდგენ საქმეს კულტურულად.

ჩვენს ბრძოლაში უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტებისათვის საჭიროა საზრიანი და მოფიქრებული მუშაობა. ჩვენი კომუნისტები სწორუპოვრად მოგითხრობენ ყველაფერს რევოლიუციონური ბრძოლის შესახებ, ჩინებულათ იციან მსოფლიო რევოლიუციონური ბრძოლის მდგომარეობა. მაგრამ არ იციან როგორ უნდა ვიხსნათ თავი საშინელი გაჭირვეჰისა და სიღატაკისაგან, არ იციან რომ ამისათვის საჭიროა უმთავრესად საზრიანი გონება, მოფიქრებული ნაბიჯები კულტურულობა და წესიერება. ჩვენ ბრალს ვერ დავდებთ პასუხისმგებელ კომუნისტებს იმაში, რომ "ისინი საქმეს კეთილსინდისიერათ არ ეპყრობიან,—ასეთი ბრალის დადება იქნებოდა უსამართლობა. მათ შორის დიდი უმრავლესობა არა თუ მარტო კეთილ სინდისიერია, არამედ 99% მრავალჯერ დაუმტკიცებია თავისი ერთგულება რევოლიუციისადმი უკიდურესად გაჭირვებულსა და მძიმე პირობებში, როგორც ცარიზმის დროს, ისე რევოლიუციის შემდეგაც. საჭიროა რომ უბრალო სახელმწიფოებრივ საქმეს კულტურულად მიუდგეთ, საჭიროა შევიგნოთ, რომ ეს არის სახელმწიფოებრივი საქმე, სავაჭრო საქმე. უკეთუ ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება გველობებოდა საქმის გაჭიანურებისათვის დამნაშავე პასუხისგებაში ჯნდა მივცეთ სასამართლოს წესით. მე დარწმუნებული ვარ, რომ პროლეტარული სასამართლო ყველას ღირსეულად დასჯის, მაგრამ ამისათვის ჯერ დამნაშავის აღმოჩენაა საჭირო. მაგრამ ამ მხრივ კი—თქვენი ხმალი და ჩემი კისერი თუ თქვენ დამნაშავეს აღმოაჩინეთ. ეს გჯრემოება მოითხოვს დაკვირვებას: დამნაშავე არ არის, არის მხოლოდ ფუსფუსი, უილაჯობა, ალიაქოთი, აბდაუბდა არავის გაეგება—როგორ მოჰკიდოს სახელმწიფო საქმეს ხელი, არავინ იცის, როგორ უნდა მიუდგე საქმეს ნამდვილად. ამავე დროს კი მთელი თეთრგვარდიელები და საბოტაჟნიკები სარგებლობენ ასეთის მდგომარეობით. ამ საბოტაჟნიკების წინააღმდეგ ჩვენ გვქონდა პერიოდი ბრძოლისა, ეს ბრძოლა ამ ჟამადაც დღიურ წესრიგს შეადგენს, რა თქმა უნდა, სწორია საბოტაჟნიკებთან ბრძოლა, მაგრამ განა მათ წინააღმდეგ შესაძლოა ბრძოლა ისეთ მდგომარეობაში, როგორც მე მოგახსენეთ? შეუძლებელია. ასეთი მდგომარეობა ტარესია ყოველგვარ საბოტაჟზე, როცა ორი კომუნისტი დაობს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის მიმართონ პოლიტიკურ ბიუროს პრინციპიალური დირექტივისათვის სურსათის საყიდლად, საბოტაჟნიკისათვის ამ დავაში ჩნდება გასაძრომი ჭურჭუტანა და თუ ამ უკანასკნელს ღმერთმა წყალობის თვალით გადმოხედა და ასეთი ჭურჭუტანა შეამჩნია, სხვა არა უნდა რა,—იქვე შიგ გაძვრება. რომ ბედმა მოგვიძულოს და ცოტათ თუ ბევრათ მოხერხებული საბოტაჟნიკი ერთ ერთ კომუნისტს, ან ორივეს მორიგეობით გვერდში ამოუდგეს და მათ მხარი დაუჭიროს. გათავდა, საქმე დაღუპულია სამუდამოთ. ვინ არის დამნაშავე? არავინ, ვინაიდან ორი პასუხისმგებელი კომუნისტი, თავდადებული რევოლიუციონერები ჩხუბობენ წარსული წლის თოვლისათვის, დაობენ იმის შესახებ, რომელ მომენტში შეიტანოს პოლიტიკურ ბიუროში კითხვა რათა მიიღონ პრინციპიალური დირექტივი სურსათის საყიდლად.

აი, როგორა სდგას კითხვა და რაში მდგომარეობს მთელი სიძნელე. თვითეულმა ნოქარმა, რომელსაც გაუვლია მსხვილი კაპიტალისტური წარმოების სკოლა, იცის თუ როგორ მოაგვაროს საქმე; ხოლო პასუხისმგებელ კომუნისტთა 99 პროცენტმა არც იცის და არც სურს შეიგნოს, რომ მას არაფერი გაეგება, რომ საჭიროა ანბანიდან სწავლის დაწყება, თუ ეს ვერ გავიგეთ, თუ ხელახლა არ დავიწყეთ მოსამზადებელი კლასიდან, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავჭრით იმ ეკონომიურ ამოცანას, რომელიც ამ ჟამად საფუძველია მთელი ჩვენი პოლიტიკისა.

მეორე მაგალითი გახლავთ „დონბასი". მოგეხსენებათ, რომ „დონბასი" ცენტრია, ნამდვილი საფუძველია მთელი ჩვენი ეკონომიკისა. არავითარი ლაპარაკი მსხვილი მრეწველობის აღდგენაზე ჩვენში, ან სოციალიზმის ნამდვილ აღმშენებლობაზე (და მისი შენება შეუძლებელიც არის სხვანაირად თუ არ მსხვილი მრეწველობის საშუალებით) არ შეიძლება თუ ჩვენ არ აღვადგინეთ და შესაფერ დონეზე, არ დავაყენეთ ,,დონბასის" მრეწველობა. ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ ამას ვადევნებდით თვალყურს.

ჩვენი დღევანდელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავაყენოთ მუშაობა წესიერად, დროით გადავსწყვიტოთ ხოლმე ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც კი თავს იჩენს და ამასთანავე არ ჩამოვაშოროთ ადმინისტრატიული მხარე პოლიტიკას.

ეს ასე უნდა მოეწყოს ვინაიდან პოლიტიკა და ადმინისტრატიული სფერო დამყარებულია იმაზე, რომ მთელი ავანგარდი დაკავშირებულ იქნეს პროლეტარიატსა და გლეხობის მთელ მასასთან, თუ ვინმე ამას დაივიწყებს, თუ ვისმე გაიტაცებს მარტო ადმინისტრატიული მხარე—ეს იქნება დიდი უბედურება, შეცდომა, რომელიც მას მოსვლია

მცირეა სხვა შეცდომებთან, რომელიც ჩვენ ჩაგვიდენია, როდესაც ცენტრალურ კომიტეტში იყო ერთსულოვანი მოთხოვნილება:

„დაეთხოვეთ იმ ჯგუფს, რომელიც იქ მუშაობს, იყოს ცენტრალურ კომიტეტში მცირე კონფლიქტებიც, ვინაიდან ,,დონბასი'' არ არის შემთხვევითი რაიონი, არამედ ისეთი, რომელის გარეშე სოციალისტური აღმშენებლობა დარჩება მხოლოდ კეთილ სურვილად'',—მაგრამ აღმოჩნდა რომ მთელი ჩვენი პოლიტიკური ხელისუფლება, ცენტრალური კომიტეტის მთელი ავტორიტეტი საკმარისი არ იყო.

ამ შემთხვევაში შეცდომა იყო ადმინისტრატიულის მხრივ; რასაკვირველია, ამის გარდა იყო კიდევ რამდენიმე სხვა შეცდომა.

აი მაგალითი იმისა, რომ სიმძიმის ცენტრი არის არა პოლიტიკურ ხელისუფლებაში, არამედ მართვაგამგეობის ცოდნაში, რომ მთავარი არის მომუშავეთა სწორი განაწილება, მათი საქმეზე დაყენება და წვრილმანი უთანხმოების თავიდან აცდენა ისე, რომ არ შესწყდეს სახელმწიფოებრივი სამეურნეო მუშაობა

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი რევოლიუციის შესახებ, როდესაც ვსწონით რევოლიუციის ბედ-იღბალს, ჩვენ გარკვევით უნდა განვასხვაოთ კაპიტალიზმისაგან რევოლიუციის ის ამოცანები, რომლებიც უკვე სავსებით გადაჭრილია და რომელმაც დღეს წარუშლელი ადგილი დაიკავა ახალი საყოველთაო ისტორიული გარდატეხის მატიანეში. ასეთი საქმე მრავლად ითვლება ჩვენს რევოლიუციაზე. დე მენშევიკებმა და ოტო ბაუერმა ორნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენელმა თავი გაიხეთქონ ყვირილით, რომ აქ ბურჟუაზიული რევოლიუცია გვაქვს, ჩვენ მაინც ვამბობთ: ჩვენი მიზანია ბურჟუაზიული რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა. როგორც ამბობს თეთრგვარდიელები ერთი გამოცემა: ჩვენ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში ოთხასი წელიწადი თავს უყრიდნენ ყოველგვარ ნაგავს, ხოლო ჩვენ გავსწმინდეთ ის ნაგავი ოთხი წლის განმავლობაში,—ეს არის ჩვენი უდიდესი დამსახურება. მაგრამ თვითონ მენშევიკებმა და ესერებმა რაღა გააკეთეს? არაფერი. ვერც ჩვენში და ვერც მოწინავე, განათლებულ გერმანიაში. თვით გერმანიაშიაც ვერ შესძლეს საშუალო საუკუნოების ნაგვის გაწმენდა და გადაყრა. და ეს ვაჟბატონები სამდურავით იხსენიებენ ჩვენს უდიდეს დამსახურებას. რევოლიუციის საქმის ბოლომდე მიყვანა არის ჩვენი დამსახურება,—ამას ვერავინ წეგვართმევს.

დღეს ახალი ომის სუნი ტრიალებს. მუშათა კავშირებს, როგორც მაგ. რეფორმისტულ კავშირებს, გამოაქვთ რეზოლიუციები ომის წინააღმდეგ და გაფიცვითაც იმუქრებიან. ამას წინად, თუ არ ვცდები, გაზეთში წავიკითხე დეპეშა, რომ საფრანგეთის პალატაში ერთი შესანიშნავი კომუნისტი გამოვიდა ომის წინააღმდეგ და აღნიშნა რომ მუშები ომს არ დასთანხმდებიან და ამჯობინებენ აჯანყების მოწყობას. არ შეიძლება საკითხის ისე დაყენება, როგორც ჩვენ მას ვაყენებდით 1912 წ. როდესაც ბაზელის მანიფესტი იბეჭდებოდა. მხოლოდ რუსეთის რევოლიუციამ გვაჩვენა თუ როგორ შეიძლება ომისაგან თავის დაღწევა და რაოდენ სიძნელეს წარმოადგენს რეაქციონური ომის ცეცხლიდან რევოლიუციონური გზით გამოსვლა, რეაქციონური იმპერიალისტური ომები მსოფლიოს ყველა კუთხეში თავიდან აუცდენელი მოვლენაა. და კაცობრიობას არ შეუძლიან დაივიწყოს და იგი არ დაივიწყებს რომ მრავალი ათეული მილიონი ხალხი დაიხოცა წარსულ ომში და კიდევ მრავალი შეეწირება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების მოგვარებას. და არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს გაიტაცოს ის, რაც რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარია, არ არის ქვეყნად ძალა, რომელსაც შეეძლოს უკან წაიღოს, ან გააფუქსავატოს ის, რაც შექმნილია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ.

ეს არის—საკაცობრიო ისტორიული გამარჯვება. მთელი საუკუნოები შენდებოდა ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფოებათ და მრავლად გამოინახა ფორმა არა ბურჟუაზიული სახელმწიფოსი. შეიძლება ჩვენი აპარატი უვარგისია, მაგრამ ამბობენ, რომ პირველი ორთქლის მანქანაც ცუდი ყოფილა და არც ის ვიცით, მოქმედობდა იგი თუ არა. მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, საქმე იმაშია რომ ორთქლის მანქანა აღმოაჩინეს, დე იყოს პირველი მანქანა გამოუსადეგი თავისი ფორმით, ეს სულერთია, დღეს ჩვენ გვაქვს ლოკომოტივი. დე ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი მთლად უხეირო იყოს სულერთია ეს აპარატი მაინც წარმოიშვა და არსებობს. ჩვენს წინაშე არის უდიდესი ისტორიული აღმოჩენა და შექმნილია პროლეტარული ტიპის სახელმწიფო; და ამიტომ, დე მთელი ევროპა, მრავალი ათასი ბურჟუაზიული გაზეთი დაჯდეს და მოსთქვას ის აზრი, თუ რაოდენი საზიზღრობა, სიოლტაკე და გაჭირვება ბუდობს ჩვენს ქვეყანაში. ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთელი მსოფლიოს მუშათა მასების გონების თვალი და გულისყური მიპყრობილია საბჭოთა სახელ-

მწიფოსაკენ. აი ეს არის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც ჩვენ მივახწიეთ, რომელიც კლდესავით მკვიდრია და ხელშეუხლებელი. მაგრამ ჩვენთვის, კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთათვის ეს ნიშნავს მხოლოდ კარის შეღებას, ჩვენს წინაშე სდგას ახალი ამოცანა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ამოშენებისა. გაკეთებულია ეს? არ არის გაკეთებული, ჯერ კუდევ არა გვაქვს სოციალისტური საძირკველი. ის კომუნისტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს ასეთი საძირკვლის არსებობა, უაღრესად სცდება. მთავარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მტკიცედ, ნათლად, ფხიზლად და გარკვევით გამოვყოთ ის, რაც შეადგენს რუსეთის რევოლიუციის საერთაშორისო ისტორიულ დამსახურებას, გამოვყოთ იმისაგან, რაც ჩვენს მიერ კეთდება მეტის მეტად ცუდათ; რაც ჯერ კიდევ არ გაკეთებულა და რაც კიდევ მრავალ ჯერ უნდა გადაკეთდეს.

რა არის დღეს ყველაზედ უმთავრესი.

პირდაპირი მოვლენები ყოველთვის არეულია და მეტის მეტად რთული. იგი შეიძლება შევადაროთ ჯაჭვს. მთელ ჯაჭვს რომ მოეკიდო, ამისათვის არ კმარა ხელი ჩასჭიდო ერთ რგოლს. არ შეიძლება ხელოვნურად ამოირჩიო ის რგოლი, რომელსაც გსურს ხელი ჩაავლო. 1917 წ. რაში იყო მთელი საქმე? ომისაგან თავის დახწევაში; ამას მოითხოვდა მთელი ხალხი, და ეს ფარავდა ყველაფერს: რევოლიუციონურმა რუსეთმა მიზანს მიაღწია, იგი ომიდან გამოვიდა. ბევრი უბედურობა და სიძნელე ავიტანეთ, მაგრამ სამაგიეროთ გათვალისწინებულ იქნა ხალხის ძირითადი მოთხოვნილება და ამ გარემოებამ მოგვცა გამარჯვება მრავალი წლით.

თვით ხალხი აშკარად გრძნობდა, გლეხი ხედავდა და ფრონტიდან დაბრუნებულ თვითეულ ჯავრსკაცს კარგად ესმოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სახით მას გამოუჩნდა უფრო დემოკრატიული, უფრო ახლობელი და მონათესავე ხელისუფლება. რამდენი სიბრიყვე და სისულელეც უნდა ჩაგვედინა სხვა სფეროში, რაკი ჩვენ ეს მთავარი ამოცანა გავითვალისწინეთ, ყველაფერი რიგზე ყოფილა. 1919—20 წ.წ. რაღა იყო მთავარი?—სამხედრო ბრძოლა, მტრის უკუგდება. ჩვენს წინააღმდეგ მოიმართებოდნენ, ყოველად ძლიერი ანტანტა გვაბრჩობდა, და საჭირო არ იყო პროპაგანდა, ყოველი უპარტიო გლეხი ხედავდა რაშიც იყო საქმე. მოაბიჯებდა მემამულე; კომუნისტებმა იციან მასთან ბრძოლა. ამიტომ უჭერდა გლეხობა თავის მასსაში მხარს კომუნისტებს და ამიტომ გავიმარჯვეთ ჩვენ. 1921 წ. მთავარი ამოცანა ყოფილ. ... რი უკან დახევა. ამიტომ საჭირო იყო უაღრესი და განსაკუთრებული დისციპლინა. მუშათა ოპოზიცია ამბობდა: თქვენ ვერ აფასებთ მუშათა კლასს როგორც წესი და რიგია, მუშებმა უნდა გამოამჟღავნონ მეტი ინიციატივა. ინიციატივა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ უწესოდ არ სწარმოებდეს უკან დახევა და სასტიკად დაცულ იქნეს დისციპლინა. ის, ვინც ცოტათ თუ ბევრათ სთვლს პანიკას ან არღვევს დისციპლინას,—დაღუპავს რევოლიუციას; ეს ასე გახლავთ იმიტომ, რომ ქვეყანაზე არაფერია ისე ძნელი, როგორც უკან დახევა იმ ხალხისა, რომელიც მიეჩვია წინსვლას, დაპყრობას, რომელიც გაჟღენთილია რევოლიუციონური იდეალებით და გულში ყოველგვარ უკან დახევას სთვლის საძაგლობად და ბოროტებად. ყველაზე უდიდესი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ დარღვეულ არ იქნეს წესრიგი და ყველაზე უდიდესი ამოცანა არის ის, რომ დაცულ იქნეს წესრიგი.

მაგრამ დღეს რაღაა ყველაზე უმთავრესი? ეს მთავარი ღერძი არ წარმოადგენს მთავარ ღერძს პოლიტიკაში მიმართულების შეცვლის აზრით; ამის შესახებ უანგარიშოთ და უსაზღვროთ ლაპარაკობენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს წყალის ნაყვა და უაღრესად მავნებელი ლაყბობაა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო ჩვენში ხელს ჰკიდებენ დაწესებულებათა გადაკეთებას ან ახლების დაარსებას; ეს არის უაღრესად მავნებელი. ჩვენ მივადექით იმ ხაზს, სადაც მთელი საქმე მდგომარეობს ცოცხალ ადამიანში, მომუშავე ხალხის არჩევაში. ამის შეთვისება ძნელია რევოლიუციონერისათვის, რომელიც მიეჩვია წვრილმანი საქმეების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ დღეს ჩვენ მოვექეცით ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც პოლიტიკურის აზრით ფხიზელი შეფასება ეჭირვება; ჩვენ გავიწიეთ წინ ისე შორს, რომ არ შეგვიძლიან შევინარჩუნოთ ყველა პოზიცია და არც უნდა ვსცდილობდეთ ამას.

ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება, საერთაშორისო აზრით უკანასკნელ წლებში გიგანტიურია. სახელმწიფოს საბჭოთა ტიპი ჩვენს მიერ მოპოვებულია—ეს არის მთელი კაცობრიობის ნაბიჯი წინ და კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველ დღე გვიდასტურებს ამას ცნობებით სხვა და სხვა ქვეყნიდან. ეჭვის აჩრდილიც არ ეკარება არავის. მაგრამ პრაქტიკული მუშაობის აზრით საქმე ისე გახლავთ, რომ თუ კომუნისტებმა ვერ შესძლეს

პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა გლეხთა მასსებისათვის, ეს უკანასკნელი მათ მხარს აღარ დაუჭერს. ყურადღების ცენტრი მდგომარეობს არა კანონმდებლობაში, არა იმაში, რომ საუკეთესო დეკრეტებს ვსცემდით და სხვა. ჩვენ გვქონდა პერიოდი, როდესაც დეკრეტი იყო პროპაგანდის ერთი ფორმა. ჩვენ სიცილს გვაყრიდნენ, ამბობდნენ, რომ ბოლშევიკებს არ ესმით, რომ მათ დეკრეტებს არავინ ასრულებსო. თეთრგვარდიელების მთელი პრესა სავსეა ამ მხრივ ათასგვარი დაცინვით; მაგრამ ეს ზოლი, ეს პერიოდი იყო კანონიერი, მაშინ ჩვენ ავიღეთ ხელისუფლება და ვეუბნებოდით გლეხს, მუშას — აი ასე გვინდა ჩვენ რომ სახელმწიფო მოეწყოს, ასეთი მმართველობა გვინდა ჩვენ, აი დეკრეტი, შეამოწმეთ, გასინჯეთ. ჩვენს წარმოდგენას პოლიტიკაზე დაუყოვნებლივ ვაწვდიდით უბრალო გლეხსა და მუშას დეკრეტის სახით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის ფართო მასსებში. ეს იყო დრო, ეს იყო ერთი ზოლი, სრულიად აუცილებელი რევოლიუციის დასაწყისში; უამისოდ ჩვენ ვერ მოვექცეოდით რევოლიუციონური ტალღის სათავეში, არამედ დავრჩებოდით მოძრაობის კუდში მაგრამ ეს ზოლი გათავდა და ჩვენ ამის გაგება აღარ გვინდა. დღეს გლეხები და მუშები დაიწყებენ სიცილს, როდესაც უბრძანებენ მოაწყონ, გადააკეთონ ესა თუ ის დაწესებულება, ეხლა უბრალო მუშა და გლეხი იმით ვერ დაინტერესდება და ისინი მართალნი არიან, ვინაიდან სიმძიმის ცენტრი აქ არ არის. შენ, კომუნისტო, ამითი კი არ უნდა მიხვიდე ხალხთან, თუმცა ჩვენ, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში მყოფნი, ყოველთვის დატვირთულნი ვართ ასეთი წვრილმანებით, მაგრამ შენ ჯაჭვის ამ რგოლს კი არ უნდა ჩასჭიდო ხელი, ეს კი არ არის უმთავრესი, უმთავრესი ის არის, რომ ხალხი უწესოთაა დაყენებული საქმეზე, რომ ბუნებრივი კომუნისტი, რომელმაც სახელოვანად გაიარა რევოლიუციის ზოელი გზა, დღეს უზის სავაჭრო-სამრეწველოს საქმეს, სადაც მას არაფერიც არ გაეგება და ამასთანავე ხელსაც გვიშლის სინამდვილე დავინახოთ, ვინაიდან მის ზურგს უკან თავისუფლად იმალება ათასი „ჟულიკი“ და ქვემძრომი. ამაშია საქმე, რომ ჩვენ არა გვაქვს პრაქტიკული შემოწმება იმისა, რაც შესრულებულია. ეს პროზაული ამოცანაა, პატარა, მეტად მცირე, მაგრამ იმ პირობებში როდესაც ჩვენ რამდენიმე ხანი კიდევ უნდა ვიარსებოთ კაპიტალისტური წესწყობილების მეზობლობაში, ასეთს პირობებში მდგომარეობის მთავარი ღერძი არ არის პოლიტიკაში ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, იგი არ არის რევოლიუციებში. რამდენადაც ეს საჭირო იქნება ჩვენ-ამას გავიგებთ, მაგრამ ნუ მივძვრებით ამით ხალხთან, არამედ აირჩიეთ გამოსადეგი პირები. შეამოწმეთ საქმის პრაქტიკული შესრულება და ამას დააფასებს ხალხი.

ჩვენ ხალხის მასასთან შედარებით წვეთი ვართ ზღვაში და სახელმწიფო მმართველობის საქმე მანამდის იქნება ჩვენს ხელში, ვიდრე ჩვენ სისწორით გამოვსახავთ იმას, რაც ხალხს უნდა და რასაც მისი შეგნება წარმოადგენს. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაიყოლიებს მასას და მთელი მანქანა დაიშლება უსათუოდ. დღეს ხალხიც და მთელი მშრომელი მასაც თავის თავისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად იმ გარემოებასა სთვლის, რომ პრაქტიკულად მოეცხოს მალამო საშინელ გაჭირვებასა და სიმშილს, რომ თავისი თვალით დაინახოს მდგომარეობის გაუმჯობესება. გლეხმა იცი ბაზარი და იცის ვაჭრობა, პირდაპირი კომუნისტური განაწილების წარმოება ჩვენ არ მოგვეპოვოდა და არც მათი მოწყობილობა. მაშასადამე ჩვენ რამე უნდა მივსცეთ გლეხს ვაჭრობის საშუალებით, მაგრამ არა იმაზე ნაკლები, რასაც კაპიტალისტი აძლევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ასეთ მმართველობას ვერ აიტანს. ეს არის მდგომარეობის მთავარი აზრი. და თუ მოულოდნელი რამ არაფერი მოხდა ეს უნდა იქცეს ჩვენი მუშაობის მთავარ ღერძად 1922 წლის განმავლობაში სამი პირობით: პირველი — იმ პირობით თუ ინტერვენცია აღარ გამეორდა. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ ჩვენი დიპლომატიის საშუალებით, რომ ინტერვენცია თავიდან ავიცდინოთ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მაინც შესაძლებელია ყოველ დღე. ჩვენ მართლაც მზად უნდა ვიყვეთ და წითელი არმიის სასარგებლოთ უნდა გავიღოთ მძიმე მსხვერპლი, მაგრამ ამასთანავე გარკვევით უნდა განისაზღვროს ასეთი მსხვერპლის ფარგლები, ჩვენს წინაშე სდგას მთელი ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც მხოლოდ ფორმებს ეძებს ჩვენი წახრჩობისათვის ჩვენი მენშევიკები და ესერები აგენტები არიან ამ ბურჟუაზიისა, ასეთია მათი პოლიტიკური მდგომარეობა.

მეორე იმ პირობით, თუ ფინანსური კრიზისი მეტად ძლიერი არ იქნა. ეს კრიზისი ვითარდება. ამის შესახებ თქვენ მოისმენთ მოხსენებას ფინანსურ პოლიტიკაზე. თუ იგი ღრმა და მძიმე იქნა ჩვენ იძულებული ვიქნებით ბევრი რამ ხელახლა გადავაკეთოთ.

თუ კრიზისი ძალიან მძიმე არ იქნა, შეიძლე-

ბა იგი სასარგებლოც გამოდგეს, იგი გამოიყენანს კომუნისტებს ყველა სახელმწიფო ტრესტისაგან, ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ ეს. კრიზისი გასწმენდოს დაწესებულებებსა. ოღონდ არ უნდა დავივიწყდეს რომ ყველაფერი ეს არ ახსნან იმით, რომ სპეციალისტები არიან დამნაშავენი, ხოლო პასუხისმგებელი კომუნისტები ფრიად კარგი ხალხია. რომელნიც იბრძოდნენ ფრონტზე და ოვ ოთ ის ჩინებულათ მუშაობდნენ. ასე რომ თუ ფინანსიური კრიზისი მეტის-მეტად მძიმე არ იქნა, შეიძლება აქედან მცირე სარგებლობა მივიღოთ და გავსწმინდოთ, არა ისე, როგორც ცენტრალური საკანტროლო კომისია სწმენდს, არამედ გავსწმინდოთ რიგიანად ყველა სამეურნეო დაწესებულების პასუხისმგებელი კომუნისტები.

მესამე იმ პირობით, თუ არ გვექნება პოლიტიკური შეცდომები. რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკური შეცდომები იქმნა მთელი სამეურნეო აღმშენებლობა ჩაიშლება და მაშინ გაგვიჩნდება ახალი საქმე, ის, რომ დავიწყებთ დავას მდგომარეობის გამოსწორების შესახებ. ხოლო თუ ასეთი სამწუხარო შეცდომები არ დაუშვით, მაშინ უახლოესი მომავლის სიმძიმის ცენტრი და ჩვენი მოქმედების მთავარი ღერძი უნდა გამოისახოს არა დეკრეტებში არა პოლიტიკაში, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არა დაწესებულებებში და მათ ორგანიზაციაში, (ეს საქმე, რამდენადაც იგი საჭირო იქნება გაკეთდება პასუხისმგებელ კომუნისტთა წრეებშიც და საბჭოთა დაწესებულებებშიც), არამედ მთელი მუშაობის აზრი და მთავარი მიზანი იქნება მუყაითი ხალხის გამორჩევა და საქმის აღსრულების შემოწმება. თუ ამ მხრივ ჩვენ პრაქტიკულად ვისწავლით რამეს და პრაქტიკულად სასარგებლო შედეგს მივაღწევთ, მაშინ ჩვენ კიდევ ხელახლა დავსძლევთ ყოველგვარ გაჭირვებას.

პარტია და დაწესებულებანი

დასასრულ მე მინდა შევეხო ჩვენი უმაღლესი დაწესებულებების საკითხის პრაქტიკულ მხარეს და პარტიის დამოკიდებულებას მათთან. ჩვენში დამყარდა სრულიად არანორმალური ურთიერთობა პარტიასა და საბჭოთა დაწესებულებებს შორის; ამ მხრივ აზრთა სხვა და სხვაობას არა აქვს ადგილი. ერთ მაგალითზე მე გიჩვენეთ თუ როგორ მიათრევენ კონკრეტულ წვრილ საქმეს პოლიტიკურ ბიუროში. ფორმალურად აქედან გამოსვლა მეტად ძნელია, ვინაიდან ჩვენში მმართველი არის ერთად-ერთი მთავრობის პირტია დი შეუძლებელია პარტიის წევრს აუკრძალო საჩივრის შეტანა. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭოდან ყველაფერს მიათრევენ პოლიტიკურ ბიუროში.

მე იმედი მაქვს, რომ ყრილობა სათანადო ყურადღებით მოეპყრობა ამ საკითხს და დაამტკიცებს შესაფერ დირექტივს იმ აზრით, რომ პოლიტიკური ბიურო და ცენტრალური კომიტეტი განთავისუფლებულ უნდა იქმნენ წვრილმანი საქმეებისაგან და უნდა ამაღლდეს პასუხისმგებელ ამხანაგების მუშაობა. საჭიროა, რომ სახალხო კომისარი პასუხს აგებდეს თავისი მოქმედებისათვის და არა ისე, რომ ჯერ სახალხო კომისართა საბჭოში წავიდეს და მერე პოლიტიკურ ბიუროში. უნდა აღიკრძალოს წვრილმანი საქმეებისათვის სიარული ასეთ დაწესებულებებში, და უნდა ამაღლდეს სახალხო კომისართა საბჭოს ავტორიტეტი; უფრო ფართო მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში უნდა ღებულობდეს სახალხო მოადგილე; უნდა შეიცვალოს სახ. კომისართა საბჭოს მუშაობის ხასიათი იმ მხრივ რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღსრულების შემოწმებას.

უნდა მიექცეს ყურადღება იმ მდგომარეობას, რომ შემცირებულ იქმნეს სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თვითდაცვის საბჭოს კომისიები, რომ ესენი უძღვებოდნენ თავის საკუთარ საქმეებს და გულმოდგინეთ არ ცდილობდნენ კომისიების გამრავლებას. ამ დღეებში მოხდა კომისიების გაწმენდა. სულ აღმოჩნდა 120 კომისია. ხოლო გამოირკვა რომ საქმისათვის საჭირო ყოფილა მხოლოდ 16; და ამასთანავე ეს გახლავთ პირველი გაწმენდა, იმის მაგიერ რომ მოუარონ დაკისრებულ საქმეს, იმის მაგიერ, რომ გამოიტანონ გადაწყვეტილება სახალხო კომისართა საბჭოსათვის და ამასთანავე იცოდნენ რომ ამაში პასუხი უნდა აგონ. ამის მაგიერ იმალებიან კომისიების უკან. კომისიებში ეშმაკი ფეხს მოიტეხს, გენიოსი ვერ გაიგებს თუ ვინ რას აკეთებს და ვინ რაშია პასუხისმგებელი; ყველაფერი აირია და ბოლოს გამოაქვთ ისეთი გადაწყვეტილება, რომლისთვისაც ყველა დიდი და პატარა პასუხისმგებელია.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ საჭიროა განვითარდეს და გაფართოვდეს საოლქო ეკონომიური თათბირის ავტონომია და მოქმედება. რუსეთის დაყოფა საოლქო რაიონებათ მოხდა მეცნიერულ საფუძველზე — სამეურნეო, კლიმატიური და ზნე ჩვეულების პირობებისა, და აგრეთვე, სათბობი მასალისა და ადგილობრივი მრეწველობის მდგომარეობის მიხედვით და სხ. ამ დაყოფის ნიადაგზე შემოღებულია სარაიონო და საოლქო ეკონომიური თათბირი, რა თქმა უნდა, კერძო შესწორებანი უნდა იქნეს მაგრამ საერთოდ უნდა იმატოს ეკონომიური თათბირების ავტორიტეტმა.

შემდეგ უნდა ვიზრუნოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი მუშაობდეს უფრო ენერგიულად და მისი სესიებიც ყოველთვის თავის დროზე და წესიერად იკრიბებოდეს; სესიები უნდა იქნეს უფრო ხანგრძლივი; სესიებში უნდა განხილული იქნეს კანონთა პროექტები, რომელნიც ზოგჯერ აჩქარებით შემოდის სახალხო კომისართა საბჭოში, როცა ამას

საჭიროება არ მოითხოვს. უკეთესია საშუალება მივსცეთ ადგილობრივ მომუშავეთ, ყურადღებით მოიფიქრონ და უფრო მეტი მოსთხოვონ იმას, ვინც კანონსა სწერს; ჩვენში დღემდე ეს ასე არ არის.

თუ აღმასრულებელი კომიტეტის სესიები უფრო ხანგრძლივი იქნა, შესაძლებელია დაარსებულ იქნეს სექციები და ქვეკომისიები; მაშინ მოსახერხებელი იქნება უფრო რიგიანი შემოწმება მთელი მუშაობისა, რათა მივაღწიოთ იმას, რაც ჩემის ფიქრით არის მთავარი ღერძი, აზრი და არსება აწინდელი პოლიტიკური მომენტის—ე. ი. სიმძიმის ცენტრის გადატანა საქმიანი ხალხის გამორჩევაში, ფაქტიური აღსრულების შემოწმებაში.

უნდა შევიგნოთ და არ უნდა შეგვეშინდეს იმის გაგება, რომ პასუხისმგებელ კომუნისტებში, ასში ოთხმოცდა-ცხრამეტი დღეს დაყენებულია ისეთ სამუშაოზე, სადაც იგი გამოუსადეგია, სადაც მან არ იცის საქმის გაძღოლა და უნდა ისწავლოს ყველაფერი. თავიდან ეს უნდა შევიგნოთ, ეს უნდა ვალვიაროთ და, რაკი გვაქვს საამისო შესაძლებლობა,—საერთა შორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ გვექნება დრო მოვასწროთ საქმის შესწავლა,—ყოველი მიზეზის გარეშე უნდა გავაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია.

განცხადებანი:

ტფილისის სამოსამართლო ოლქის ახალციხის პირველი უბნის სახალხო მასამართლე აცხადებს, რომ ახალციხის მოქალაქე თირუნა არუთინას ასული კასიანცის (დაბადებით ენოქიანცი) ანდერძი, რომლითაც მან 1922 წლის 9 იანვრის თავისი ქონება უანდერძა თავის ქმარს, არუთინ გაბრიელის ძე კასიანცს, დამტკიცებულია სისრულეში მოსაყვანად ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის მიერ ამ წლის 21 მარტს.

სახალხო მოსამართლე **ლვინიაშვილი.**

მდივანი **აკოფიანცი.**

ტფილისის სამოსამართლო ოლქის ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლე იწვევს 1919 წლის 20 ივნისში გარდაცვალებულ ახალციხის მოქალაქის გრიგოლ ავეტისის ძე ბუბუშიანცის, მემკვიდრეებს, რომ მათ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონების მემკვიდრეობაზე.

სახალხო მოსამართლე **ლვინიაშვილი.**

მდივანი **აკოფიანცი.**

თანახმად 63 მუხ. დეკრ. № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა, საქართველოს განყოფილების 1921 წ. 22 აპრ. ქ. თბილისის აღმას. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩაწერის ქვე-განყოფილება აცხადებს, რომ მიხაილ ლავრენტის ძე ჯავაშვილმა, შემოიტანა განცხადება მისი გვარის ჯავაშვილის თურქაძეზე შეცვლის შესახებ.

ქვე-განყოფილების უფროსი **სიმონიშვილი.**

საქმის მწარმოებელი **მაჭარაშვილი**

თანახმად 68 მუხ. დეკ. № 28 საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. თბილისის აღმასრულ. კომიტეტის მოქ. მდგომაროეების აქტების ჩაწერის ქვეგანყოფილება აცხადებს რომ მოქალაქე იოსებ არონის ძე შტნინბერგმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის **შტე ნბერგი** იქნეს შეცვლილ. იოსებ არონის ძე პომერანცევზე.

ქვეგანყოფილების უფროსი **სიმონიშვილი.**

საქმის მწარმოებელი **მაჭარაშვილი.**

დაკარგე პასპორტი, მიღებული ტიხორეცკის მილიციის კანცელარიიდან ამა წლის 31 მარტს ვალერიან ივანეს ძე დვალიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებ. 1921 წ. ტფილის. მილიციის უფროსის კანცელარიიდან № 188 ბუსეინ მამედ ალი-ოღლი აბდულაევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე პასპორტი მიღებული გორის ქალაქის თვითმართველობის კანცელარიიდან 1910 წ. ნოემბრის 16-ს № 450 ვასილ ალექსის ძე ჯახიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დ კარგე პასპორტი მიღებული ტფილისის სამილიციო სამმართველოს კანცელარიიდან ტფილისში მცხოვრებ რაისა მოსეს ასული ედელსონის და სოფიო მოსეს ასული ედელსონის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე საფულე, სადაც იყო: 1) პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოსაგან ამა წლის თებერვალში, 2) პირადობის მოწმობა, მოცემული შინ. საქ სახ. კომისარიატისაგან, 3) პროფკავშირის საწევრო წიგნაკი და 4) სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გოგშკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე 1) პასპორტი მიღებული ბათომის მილიციის სამმართველოს კანცელარიიდან სურათით 1921 წ., 2) ბათომში საცხოვრებელი ნებართვა—მიღებული ბათომის საშინაო განყოფილების კანცელარიიდან იაკობ არუთინას ძე ბერუჩაშვილის სახელზე. (უკანასკნელი, საცხოვრებელი ნებართვა აღებული იყო აგრეთვე ჩემი ოჯახობის (ცოლშვილის) სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე 1) პირადობის მოწმობა—ფოტოგრაფიულის სურათით მიღებული ამა წლის 27 აპრილს ბათომის პირველი სატელეგრაფო უბნის კონტორიდან, 2) რკინის გზით სამოგზაურო ბილეთი (ბათომიდან ტფილისამდე და უკან) ვერა ვასილის ასულ ოვსრაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი მიღებული ტფილისის რკინისგზის ეკლესიიდან 1906 წელს აპრილში № 21139. მიხეილ ნიკოლოზის ძე ვოროგბიოვის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული როსტოვის მ ლიციის სამმართველოს კანცელარიიდან დაინერა გიორგის ასულ გრინიოვის სახელზე. № 1893 ə 1921 წ. თებერვლის თარიღით. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ოზურგეთის მაზრის შემოქმედის თემიდან, აღნუსხვის ბარათი, ორი ვექსილი: ერთი 8,000000 მან. ჩემ მიერ ხელ მოწერილი, მეორე 3,600000 მან. გრიგოლ მაისურაძის მიერ ხელმოწერილი და სახელმწიფო გადასახადების კვიტანციები ნოე ივანეს ძე დუმბაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პასპორტი, მოცემული 1922 წ. ქ. კოზლოვის მთავარ მილიციის სამმართველოდან **ლიუბა დიმიტრის ასულ სელეზნოვის** სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე 1) მანდატი მიღებ. მოსკოვის-გზათა კომისარიატის კოოპერატივის (კოოპუტ) სამმართველოს კანცელარიიდან ამა წლის თებერვალში 2) მოსკოვის გზათა სამმართველოსაგან გამოგზავნილი დეპეშა ასლი ტფილისის გზათა სამმართველოს სახელზე—ჩემს განკარგულებაში ვაგონების გადმოცემის შესახებ და სხვა დოკუმენტები ალექსანდრე დავითის ძე ანჯაფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე 1) უვადო პასპორტი მიღებული 1913 წელს ზაქათალის საუბნო საპოლიციო სამმართველოსაგან ხაჩატურ კარაპეტის ძე და არაქსია დარიბშახის ასული ცატუროვების სახელზე, 2) სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფილისის მე-4-ე სამილიციო უბნის კანცელარიიდან ამა წლის აპრილში. № 852, 3) ნებართვა ტფილისში მანუფაქტურით ვაჭრობის შესახებ ხაჩატურ კარაპეტის ძე ცატუროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 587, მოცემული 1921 წელს ქ. ტფილისის ლიტოვცების მისიისაგან, სარეგისტრაციო ბარათი მოცემული 1922 წ. საქართველოს გარეშე საქმეთა კომისარ-ატისაგან და სტუდენტობის მოწმობა მოცემული 1921 წ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისაგან სოსანა მოროდოზოვის ძე ხოტინოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული 1921 წ. ქ. ბათომის მილიციის მიერ ევგენი ბარისოვის ასულ ბაბელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე: 1) პირადობის მოწმობა მოცემული მოსკოვში მყოფი ავსტრიის წარმომადგენელის კანცელარიიდან, 2) მოწმობა მიღებული აზერბეიჯანის კ. პ. ც. კ. ს. კანცელარიიდან და 3) მოწმობა მიღებული ბათომის ა. კ. ჩეკას კანცელარიიდან ამა თვის 3-ს ანდრია მიხაილოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 232, მოცემული 1922 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა № 102, მოცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ გერონტი ალექსის ძე მიქაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. პოლიგრგანყ. სტამბა—ტირაჟი 2400.